საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროს. № 11. რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი, ,,საქართველო''. ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ., მე-4 გვერდზე—15 მ.
ხამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეშვიდე. შაბათი, იანვრის 22. 1921 № 15

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი ჰურის არაყი და ტკბილი სასმელები **დ. ი. კალანდაძისა**

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

კვირას, 23 იანვარს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

ექიმ **თადეოს პავლეს ძის გურჯანაძისა**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა, ძმები და დები განსვენებულისა. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე.

1—3402—1

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მათიკო, ძმები ლევან და კაპიტონ და დები: მარო და თამარა აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ ოთხშაბათს, 19 იანვარს უდროვოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ვლადიმერ მიხეილის-ძე კოგახიძე

დასაფლავება კვირას 23 იანვარს ს. ხეთაში.

1—3401—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

შაბათს, იანვრის 22-ს

მეხუთედ **უმვირგვინო მეფენი**

კვირას, იანვრის 23-ს

მეოთხედ **ანტიგონე**

ხუთშაბათს, იანვრის 27-ს

პირველად **სამშობლო**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

ხუთშაბათს, იანვრის 27-ს პრემიერა!

პირველად ამ სეზონში

განახლების და შესწორების შემდეგ **სამშობლო** ღიტანიით

ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ-ერისთავისა. მონაწილეობს მთელი დასი 100 თანამშრომელი ხორო.

ბილეთები კასაში. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი

სახელმწიფო ოპერა

შაბათს, 22 იანვარს

ოპერა მუშებს ფთვის

კვირას, 23 იანვარს

,,ტრავიატა''

ორშაბათს, 24 იანვარს

დუბროვსკი

სამშაბათს, 25 იანვარს

აბესალომ და ეთერი

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სახელმწიფო დრამის თეატრის სამუსიკო დარბაზი

(ყოფილი არტისტიული საზოგადოება)

შაბათს, იანვრის 22 ს

თფილისის რესტორანების და კლუბების მუშამოსამსახურეთა პროფ. კავშირი მართავს

დიდ საღამო კონცერტ-კაბარეს

ფრონტის და კავშირის უმუშევართა სასარგებლოდ მონაწილეობენ თფილისის საუკეთესო არტისტიული ძალები

კაბარეს დროს **ვახშამი**

დასაწყისი საღამოს 9 1/2 საათზე მაგიდების დაკვეთა ამ თავით თეატრის კანტორაში ყოველ დღე საღამოებით 6—9 საათამდე.

საღამოს დიასახლისები: მ. ბახტაძისა და კ. მაისურაძისა

ადმინისტრატორი ი. ხხენკელი

კავშირის გამგეობა.

არა-სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებული

კონფერენცია

1. კონფერენციას იწვევს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული და რადიკალ დემოკრატიული პარტიები.

2. კონფერენცია გაიმართება საქართველოს დედა-ქალაქში თბილისში 1921 წლის იანვრის 23-ს, და გაგრძელდება 3 დღე.

3. კონფერენციაზე გამოსაგზავნი დელეგატები აირჩევიან ადგილობრივ არა-სოციალისტურ პარტიათა ორგანიზაციების წევრთა შეერთებულ კრებაზედ, პიროვნულად.

4. თითეული დელეგატი აირჩევა ორას პარტიულ წევრზე, ხოლო არა უმეტეს 1 დელეგატისა არა სოციალისტური პარტიების მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ყოველ სამას ხმაზე.

5. ამ კონფერენციის მიხედვით, თანახმად მთავარი კომიტეტების ცნობებისა, საერთო რიცხვი დელეგატებისა ნავარაუდევია 160 კაცი, გარდა მთავარი კომიტეტების წევრებისა

6. კონფერენციის წევრთა არჩევნებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სამაზრო ან სარაიონო კომიტეტები, თანახმად ამავე ინსტრუქციის მე-4 მუხლისა

7. დელეგატების არჩევნების შესახებ მთელს რაიონში სდგება სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ იმ რაიონში არსებული არა სოციალისტური დემოკრატიული ორგანიზაციები.

8. ყოველი დელეგატი უზრუნველყოფილი იქნება ბინით.

9. კონფერენციის მოწვევის საქმეს ხელმძღვანელობს ცენტრალური საკონფერენციო კომისია, რომელიც შედგენილია ზემოხსენებულ პარტიათა ხელმძღვანელ ორგანოთა წარმომადგენელთაგან.

მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის ბიურო.

კონფერენციის წესრიგი.

1.

განცხადება ცენტრალური საკონფერენციო კომისიისა პარტიათა გაერთიანების შესახებ და ამ განცხადების განმარტებანი პარტიათა წარმომადგენლების მიერ

2.

მოხსენებანი მომენტის შესახებ: 1) საშინაო მდგომარეობა, 2) საგარეო მდგომარეობა და 3. ეკონომიური მდგომარეობა.

3.

1. პროგრამა და წესდება, 2. საარჩევნო მუშაობა, 3. არჩევნები მთავა-კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა·

საკონფერენციო კომისია.

განცხადება

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 1921 წ. 31 იანვარს დილის 12 საათზედ მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თბილისის გარნიზონისთვის ერთის წლის ვადით ხორცის და ცხიმის ჩაბარების შესახებ. დაწვრილებით ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში (ბარიათინის ქუჩა № 10) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდის.

3—16—3

პარასკევს, 28 იანვარს

სახელმწიფო დრამის თეატრში

შუადღის 12 საათზე დანიშნულია ქართველ მსახიობთა კავშირის წევრთა

საგანგებო კრება

განსახილველია საბჭოს მოქმედება და მიმდინარე საკითხები.

კიკეთის სააგარაკო კოოპერატივი

ღებულობს წევრებათ, უფულოთ, ყველას, ვისაც: ან აგარაკი აქვს, ან ხარები, ძროხები და ფუტკარი ყავს და ან სხვა და სხვა დარგის მეურნეობაში მუშაობა შეუძლია. ჩაწერა გაგრძელდება 1 თებერვლამდის ზ. დავიდოვის თევზის მაღაზიაში პუშკინის სკვერთან.

5—8393—2

ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან ახლად მოაწყო ვალცის წისქვილი (**Вальцовую мельницу)** რომელიც ჯერ ჯერობით დღიურად ფქვავს 1000 ფუთ ხორბალს, მიღებულია ზომები მის გასაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქვავს დღიურად 2000 ფუთამდე.

დაწესებულებანი რომლებიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილით, ყოველივე ცნობებისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას.

ბათომის ქალაქის გამგეობა.

საყურადღებოდ

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ მან გახსნა ფეხსაცმელების სახელოსნო (ორბელიანის ქ. ტელეგრაფის ჩიხი № 4 ინვალიდების სახლში).

ფასები ძლიერ დაკლებულია.

დანაკვეთის დროზე ასრულებისა და საქონლის ხარისხისათვის სრული პასუხისმგებელია კავშირი.

7—12—3 გამგეობა.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა აცხადებს

საზოგადოების საყურადღებოდ,

რომ მის საკუთარს სახელოსნოში ქ. ბათუმში მზადდება ბამბუკის ავეჯეულობა: ლოგინები, სკამები, მაგიდები და სხვა. დაკვეთა შეიძლება ქ. ბათუმში, კავშირის განყოფილებაში და ქ. თბილისში, გამგეობის ბინაზე (პლეხანოვის პროსპ. № 139).

7—13—3 გამგეობა.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა აცხადებს

საზოგადოების საყურადღებოდ,

რომ ამა წლის 20 იანვრიდან

დაიწყება კავშირის ბავშვთა თავშესაფარში ომში დაღუპულ მეომართა უმწეოთ დარჩენილ ობლების მიღება.

წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. არა ქართველთათვის ქვეშევრდომობის მოწმობა (ქალაქის თვითმართველობათა მიერ გაცემული); 2. მისაღებ ბავშვის მამის ნამსახურების ხია, ან მოწმობა მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისა მისი სამსახურის შესახებ; 3. სიღარიბის მოწმობა (გაცემული ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ. თემებში-კი, თემის გამგეობის მთელი შემადგენლობის მიერ ხელმოწერილი). და 4. მისაღებ ბავშვთა მეტრიკული ამო ერილობა. შუამდგომლობა აღძრულ უნდა იქნას მთხოვნელის საცხოვრებელ ადგილის მიხედვით ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ (ქალაქის, ან მაზრის ერობის მიერ). თავშესაფარში მიიღებიან ობლები ორივე სქესისა 6-დან 10 წლამდე. თავისუფალია 30 ადგილი აღზრდა პატრონობას კავშირი კისრულობს 16 წლის შესრულებამდე.

7—14—3 გამგეობა.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირს აქვს გახსნილი

სასადილო **,,ბლან-ნუარ''**

პლეხანოვის პროსპ. № 83.

ცხელი საჭმელები, ცივი საუზმეულობა, სასმელები.

კავშირის წევრთ ეძლევათ სადილ-ვახშამი ოც ოც მანეთად (20—20 მან.)

7—15—3 გამგეობა.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისთვის

შეერთებულ დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალზე

,,ჯეჯილზე'' და ,,ნაკადულზე''

ორივე ჟურნალის შეერთება და გაფართოებული პროგრამით გამოცემა იკისრა ერობათა კავშირმა

1. მოზრდილთათვის გამოვა ჟურნალი ,,ჯეჯილი'' თვეში ერთხელ.
2. მცირეწლოვანთათვის გამოვა ჟურნალი ,,ნაკადული'' თვეში ორჯერ.

მისამართი: ტფილისი, ერობათა კავშირი, რუსთაველის პრ. № 24, „ჯეჯილი“ და „ნაკადული“-ს რედაქცია.

სარედაქციო კოლეგია: ქ. ან. წერეთლისა, ქ.პ. საყვარელიძე

უკანასკნელი იერიშები

საკმარისია სულ ზერელე დაკვირვება იმისა, რაც ჩვენს ირგვლივ სწარმოებს, რომ დავრწმუნდეთ ბოლშევიკების აშკარა განზრახვებში საქართველოს დამოუკიდებლობისადმი: თავის პოლიტიკურ მიზნებს ბოლშევიკებმა ნახევრად მიაღწიეს, როდესაც ამიერ-კავკასიის ორი რესპუბლიკა ზედიზედ ,,გააწითლეს''. მთლიანი სურათის შესაქმნელად რუსეთის ბოლშევიკები იმის ცდაში არიან, რომ რაც შეიძლება მალე მესამე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაც მოამწყვდიონ ამ ორბიტაში, აქეთკენ არის მიმართული მთელი ენერგია ბოლშევიკებისა, ამ მიზნისთვის ამუშავებულია ყველა მათი ძალები: ,,დიპლომატია'' ჯარი, პოლიტიკა, ეკონომიური საშუალებანი და სხვა.

სამხრეთის მიმართულებით კომუნისტურ რუსეთმა მთელი რიგი ზღუდეებისა შეანგრია და ყველგან სახელმწიფოს მართვა-გამგეობა საბჭოთა სისტემაზე ააგო. მძლეთა-მძლე მოსკოვს ,,გაუძალიანდა'' მიკროსკოპიული საქართველო და შესაფერისი ღირსებით უარჰყო ბოლშევიკური მახინაციები. ქართველი ხალხი მენშევიკური ექსპერიმენტებითაც საგრძნობლად დაისაჯა და ის ნათლად ჰხედავს, თუ რას უქადის მის განთავისუფლებულ სამშობლოს ბოლშევიკურ წიაღში ჩავარდნა.

ბოლშევიკური ქვეყნების თვალსაჩინო მაგალითები მეტის მეტად გამოადგა ქართველ ხალხს შეგნებისა და პატრიოტიზმის განმტკიცებისათვის. ამ ქვეყნების საერთო განრღვევისა და დაქვეითების სანახაობამ საქართველოს დემოკრატიას ზურგი შეაქცევინა ბოლშევიზმის მოციქულებისაგან და ერთხელ და სამუდამოდ ყოველივე ეჭვის შეუტანლად ათქმევინა, რომ ქართველი ხალხის პოლიტიკური და სოციალური გზა არც ერთს პუნქტში არ ერთვის ბოლშევიზმის ოღროჩოღრო მისახვევებს...

ვინ დაუჯერებს მოსკოველ ,,ნარკომებს'', რომ მათ გულწრფელად და დაუინტერესებლად აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა ,,დეიურე''დ?! მთელი წყება ფაქტებისა შვიდი მაისის ხელშეკრულების შემდგომ იმისი მაჩვენებელია, რომ იურიდიული ცნობა ჩვენი პოლიტიკური თავისუფლებისა რუსეთს ასე ვთქვათ დასჭირდა იმისთვის, რომ ბოლშევიკური აგიტაცია ლეგალურად ეწარმოებინათ ჩვენში მის დაქირავებულსა თუ მოხალისე აგიტატორებს და აქი ასეც მოხდა: დიპლომატიური ურთიერთობის სახით საქართველოს საზღვრებს მოაწყდენ აუარებელი სუბიექტები და ყველა მათგანს მიცემული ჰქონდა საგანგებოდ დამზადებული ე. წ. ოდებული დიპლომატიური პასპორტი. და მოედვნენ ეს ნამდვილი კალიები საქართველოს მიდამოებს—ზოგი ფულით, ზოგი ყუმბარითა და პეტარდებით და ზოგიც... გამოთაყვანებული თავის ქალით. შეუდგნენ ქართველი ხალხის ,,ბოლშევიზაციას'' იმ იმედით, რომ ის აჰყვებოდა ავადმყოფური მანიით შებოჭილ მაწანწალა ვიგინდარებს და საქართველოს გარდააქცევდა ახალი და უცხო უგუნური და უსაფუძვლო ,,დოქტრინის'' საცდელ მინდვრად. მაგრამ თავხედი ,,მქადაგებელნი'' მოსტყუვდნენ ანგარიშში სასტიკად: საქართველოს შეგნებული დემოკრატია არ გამოდგა ისეთ აუდიტორიად, რომელსაც ბოლშევიკური პროპაგანდისტები სადმე კოსტრომაში, ან პენზაში თავზე ახვევდნენ მუდამ და უცვლელად თავის აზრებს.

ბოლშევიზმი, როგორც იდეური მოძღვრება, დამარხულად უნდა ჩაითვალოს საქართველოში! ჩვენდა საბედნიეროდ ქართველი ხალხის აზროვნება უკვე გასცილებია პრიმიტიული თეორიების სტადიას და არც ძარცვა-გლეჯა და ყველა ფერის გათანასწორება და განაწილება შეადგენს მის პოლიტიკურსა და სოციალურ იდეალს!

იდეურ ბრძოლის წაგებამ უკან მაინც არ დაახევინა ბოლშევიზმის მესვეურთ გასაოცარიც იქნებოდა ასეთი საქციელი იმ ხალხისაგან, რომლებმაც ათი და ასი ათასი მშრომელი ხალხი უთვალავ ,,ფრონტებზე'' სასიკვდილოდ გასწირეს ბოლშევიკურ ,,იდეის'' სხვებისათვის ჩასანერგავად! სადაც იდეა და საზოგადოთ ჭკუა აღარ სჭრის, იქ კომუნისტები დამშვიდებით თოფსა და ხიშტს ამოქმედებენ. აი ამ საშუალებითაც სცადეს მათ ჩვენი ხალხის ,,მოლუნვა'', მაგრამ ამ შემთხვევაშიც ,,ნახტომი ვერ მოუვიდათ'': სახელმწიფოს სანაპიროებზე აღმართული ქართველი მხედრობა ვერ შეარყიეს წითელ ურდოებმა...

ეხლაც ჯერ ბრძოლა წაგებულად არ მიაჩნიათ ბოლშევიკებს: ისინი ცდილობენ ნივთიერი სახსარის მოუცემლობით ქედი მოგვახრევინონ ბოლშევიკურ მოსკოვის წინაშე! აქ კი ბრძოლა მართლაც დაუნდობელი და გადამჭრელია: რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი ეკონომიურის სიმკაცრით ექვეთნენ გამარტოებულ საქართველოს, ხოლო ბრძოლაში ეს „სახელმწიფონი'' არ ერიდებიან არავითარ საშუალებას მოწინააღმდეგის დასამხობად! მათი ბრძოლის მეთოდები გვაგონებენ ძველი პარტიების ყაჩაღობას: გადალახულია ყოველი საზღვარი ზნეობისა და იურიდიული ნორმებისა, უხეშად დათრგუნვილია საერთაშორისო უფლების ელემენტარული მოთხოვნილებანი!

უკანასკნელ დღეებში ამ ,,განუყოფელი სამება''ს იერიშები იერიშებზე მოაქვს საქართველოზე და განმეორებითი მუქარებით ლამობს ჩვენს შეშინებას.

უნდა ვიფიქროთ, რომ შეერთებული ქართველი ხალხი ეხლაც შეარცხვენს ამ აბეზარ მტერს...

პრესა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტის ორგანო „ეროვნულ-დემოკრატ"ში ბ. ტრიფონ ჯაფარიძე სწერს: „რევოლუცია პოლიტიკურათ ჩვენთვის დიდათ საჭირო და მეტათ სასარგებლო, ეკონომიურათ გამანადგურებელი შეიქნა, რადგან სოციალისტური პროგრამის განხორციელება ბრძანებით და ძალდატანებით მოინდომეს. ძალა დროებით ყოველთვის მოქმედობს, ერთგვარი ცვლილება საზოგადო ცხოვრებაში ყოველთვის მოხდება, თუ კი ძლევამოსილებმა ეს მიზნათ დაისახეს. მაგრამ საკითხი ისაა, რამდენათ ეს ცვლილება ბუნებრივია და რამდენათ მათ თავისი ძალა უფლება სისწორით და მიზანშეწონილათ აქვს ნახმარი.

დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა სწორეთ არა ნორმალურია. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება თავის ბუნებრივ კალაპოტს გადასცდა. არც ვაჭარს, არც მწარმოებელს, არც მესაკუთრეს, არც კაპიტალისტს და არც მუშას დღეს გარკვეული პროგრამა არა აქვს, არც ერთი დღის არავითარ სისტემას არ ემორჩილება. დღიური ლუკმის ძიებაში, აუტანელ სიძვირეში, გამოურკვეველ პოლიტიკურ მდგომარეობაში და დაშლილ ეკონომიურ ხანაში მყოფი ყველა შემთხვევით მოქმედებს, ყველა წუთიერ სურათს ემორჩილება.

სიტყვით ყველა ჰგმობს სპეკულიაციას, მთავრობა სდევნის მას, კანონი სჯის მას და ამით ცდილობს მის აღმოფხვრას. მაგრამ ცხოვრების პირობები, სოციალისტური ნაბიჯებით შექმნილი გარემოება სპეკულიაციას ხელს უწყობს და ამიტომ საუბედუროთ ის კი არ ისპობა, პირიქით თანდათან იზრდება.

დღეს კაპიტალი მის ხელშია, რომელსაც ნორმალური ცხოვრების ხანაში არც კაპიტალის შექმნის ნიჭი ჰქონია და არც მისი მოხმარების.

წარმოება დღეს შეჩერებულია, არც არაფერი ახალი იქმნება და არც შექმნის სურვილი ისახება. დღეს ყველა იმის ცდილობს სხვისგან დამზადებული ხელში იგდოს და მხმარებელს მიაწოდოს და რადგან შოვნაც ძნელია, მიტან-მოტანაც, მოვლა შენახვაც, ამიტომ ყველაფერს აფასებს და მუშტარს უკვე მიუწდომელ ფასათ აწოდებს: საცოდავი მხმარებელიც ყოველ ძალღონეს ხმარობს აუცილებელი რამ მაინც შეიძინოს და დღიური არსებობა შეინარჩუნოს

დღეს უკვე ცხადათ ვხედავთ ახალ სურათს: ვაჭრობს ის, ვისაც უწინ არ უვაჭრია' არც ვაჭრობის სურვილი ჰქონია, არც ეს დარგი შეუსწავლია. უწინდელი მემამულე, სახელმწიფო სამსახურში მყოფი, მიწის მომუშავე, ნოქარი, ხელოსანი დღეს გაჭირვებას შემთხვევით ვაჭრობის გზაზე დაუყენებია. ბევრი მათგანი არც დაღუპულია და ამ გზით თავის მდგომარეობას სრულიადაც ვერ აუმჯობესებს, მაგრამ ბევრი მოხერხებული შემთხვევით მოსარგებლე ხელს ითბობს და საზოგადოებას ბურჟუად ეჩვენება. დღეს უკვე აშკარათ ვხედავთ, რომ ერთი ჯგუფის ხელში უზომოთ დაგროვდა ჩვენი ბონები და რომ ხელი დაიცალოს ბევრი ცდილობს ერთ უბრალო სახლში 3—4 მილიონი მისცეს, ერთ ხალიჩაში ასი და ორასი ათასი მისცეს. მეორე მხრით ვხედავთ დამშეულ მოხელეებს, რომელნიც შიმშილისაგან რომ თავი გადაირჩინონ აუცილებელ საჭირო ნივთებს ჰყიდიან და დღიურ არსებობას ამით აგრძელებენ.

დღეს უკვე ვხედავთ გაპროლეტარებულ ხალხს, ზოგს აღარც სახლ-კარი გააჩნია, აღარც ჯამაგირიანი ადგილი აქვს და არც ხელობით შეუძლია ლუკმა იშოვოს, შიმშილისაგან თავგზა დასხმული ზოგი ავაზაკობას ეწევა და ზოგი მათხოვრობს. აქამდი მახინჯი და ავათმყოფი იყო ხელგაწვდილი მოწყალებისათვის და დღეს კი ჯანსაღი ადამიანი გიწვდის ხელს.

ქალაქის და ერობის გამგეობას ბევრი მიაწყდა მოწყალების მათხოვარი, მაგრამ ვერც გამგეობები და ვერც მუშათა მაგიდა მათ ვერ უშველის. სიღარიბე მატულობს ღარიბთა რიცხვი იზრდება და გაჭირვება თანდათან მწვავდება!

მდგომარეობა საყურადღებო და მეტათ საგულისხმოა!

არ ვიცი როგორ შეხედავს სოციალისტი პროლეტარიატის გაჩენას და მის სიმწარით ზრდას, ეგებ ეს ,,პარტიული'' და ,,ტაქტიკური'' მოსაზრებით საჭიროც იყოს და საიმედოც, ეგებ სოციალიზმის მოტრფიალეს ეს კიდეც ახარებდეს და ბრწყინვალე იმედებს უსახავდეს, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას ვიტყვით და ვიტყვით აი რას.

დღევანდელი გაჭირვება და სიღარიბე, რომელიც მალე სილატაკეთ გადიქცევა, მრავალი და რთული მიზეზების შედეგია, მაგრამ ერთი მიზეზი ამისა არის სოციალისტური რეფორმების ბძანებით განხორციელება. ვაჭრობა მრეწველობის სფეროში, და შრომას მოწესრიგებაში, დიდი შეცდომებია დაშვებული და ის რასაც დღეს ვხედავთ, მოსალოდნელი იყო.

შეცდომა უნდა გასწორდეს, თორემ სიღარიბე და სილატაკე ხალხს მორალურათ დაშლის, გახრწნის და ვინ იცის რა სურათები გადაგვეშლება თვალწინ. სოციალიზმისადმი მისწრაფებაში რომის მაგალითებს არ მივადგეთ და ანარქიის ჭუჭყრულში არ გადავცვივდეთ. ,,გაუმარჯოს სოციალიზმს''-ის ლოზუნგი ,,პური გვაჭამეთ'' ის ლოზუნგზე არ შეიცვალოს და სამოთხის მოიმედე ჯოჯოხეთში არ ჩავაგდოთ.

რაც არის ეს გვეყოფა და უარესს უფრთხილდეთ''

საქართველოს წარმომადგენელი ანგორაში.

კონსტანტინოპოლი. ,,ბოსფორი'' იუწყება: ტრაპიზონდში ჩავიდა ანგორაში გაგზავნილი საქართველოს საგანგებო მისია სიმონ მდივანის თავმჯდომარეობით. მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლები მისიას დიდის ზეიმით შეეგებენ. მისიის საპატივცემულოდ გაიმართა ჯარების აღლუმი, რის შემდეგაც გუბერნატორის სასახლეში გაიმართა ბანკეტი. სამსუნიდან მისია ანგორისაკენ ავტომობილებით გაემართა. (ს.დ.ს.)

საქართველო და ბოლშევიკები.

— „ბოსფორი" იუწყება: ყველა ცნობა, რომელიც ბოლშევიკების საქართველოსადმი მუქარას შეეხება, ბოროტი ფანტაზიის გამოგონილია. ტფილისისა და მოსკოვის დამოკიდებულება ასე თუ ისე ნორმალურია. ბათომიდან ჩამოსულნი პირნი, რომელნიც ამგვარ ხმებს ავრცელებენ, უმთავრესად წარმოადგენენ საქართველოდან გადმოსახლებულ სპეკულიანტებს, რომელთაც უფლება არა აქვთ საქართველოში დაბრუნებისა. (ს. დ. ს)

აჯანყება აზერბაიჯანში.

ხმა დადის, რომ 8 ათასი ცხენოსანი ბეგების მეთაურობით აუჯანყდენ ბოლშევიკებს აზერბეიჯანში მას შემდეგ რაც ბოლშევიკებმა მოაწყეს ,,ძარცვის კვირა''. მეორე ადგილას აჯანყებულა ორი ათასიანი რაზმი, რომელსაც მეთაურობს რუსეთის აფიცრად ნამყოფი ალლაროვი.

უცხოეთში

ბოლშევიკ ვარგას აღსარება

,,პოლიტიკა'', ბელგრადის გაზეთი, მკაცრ კრიტიკას უკეთებს ბოლშევიკების მეთოდებს:

,,როგორც ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ბოლშევიკებიც შეჩერდნენ ერთსა და იმავე პრობლემისა და უბედურების წინაშე. ბოლშევიკებთან ეს უბედურება გაცილებით უფრო მძიმე და სერიოზული, ვინემ სხ. ქვეყნებში. ჰუნგრეთში ბოლშევიზმის აღმოფხვრის წინ, რამოდენიმე დღით უფრო ადრე, ბოლშევიკთა ერთმა მინისტრთაგანმა, შრომის მინისტრმა, ბ. ვარგამ, საქვეყნოთ აღიარა, რომ კომუნისტური ორგანიზაცია ზნეობრივად დაავადებულია. მან მწუხარებით დაადასტურა, და გულმოსნობა გამოიჩინა მითი, რომ თქვა: ბოლშევიკთა მმართველობითი მექანიზმს აკლია ერთი პატარა რგოლი; მაგრამ ეს რგოლი ყველაზე დიდ მნიშვნელოვანია: ზნეობრივი წაქეზება! მუშას არ უნდა სრულიად იმუშაოს. როდესაც მოსპეს კერძო საკუთრება და მოგება, მით მასში მოჰკლეს ყოველი წამაქეზებელი ძალა შრომისათვის. მოსპობილი კი არაფრით არ აანაზღაურეს, და არც შეიძლება მისი რითიმე ხელახლავ ანაზღაურება...

ბოლშევიკების სოციალური ორგანიზაცია უსულო და უსიცოცხლოა''.

ეს სიტყვები მითია საგულისხმო, რომ იგი ეკუთვნის ბოლშევიკების წარმომადგენელს, კომუნიზმისა და სოციალიზმის ერთ ერთ დამამყარებელს ჰუნგრეთში და ცნობილ კომუნისტის ბელაკუნის ამხანაგ-თანამშრომელს.

ეს სიტყვები კიდევ მითია საყურადღებო, რომ იგი გულწრფელი აღსარებაა გონზე მოსულ ცოდვილ სოციალისტისა, რომელიც ნათლათა ხედავს სოციალისტურ მეთოდების დამღუპველობას, და ამიტომ სოციალისტ-კომუნისტი უარს ჰყოფს სოციალისტ-კომუნისტურ მეთოდებს.

ვისურვოთ, რომ ჩვენი სოციალისტებიც მალე მოსულიყვნენ გონზე!

ლატვია და ბოლშევიკები.

რეინიდან ტელეგრაფით ატყობინებენ გაზეთ ,,ტანს'', რომ ბოლშევიკების ერთმა რაზმმა გადალახა ლატვიის საზღვრები. როგორც სჩანს მიზნათა ჰქონიათ მხოლოდ დაზვერა, რადგანაც საღამოთი ისევ დაბრუნდენ. ლატვიის პოლიტიკურ წრეების აზრით ბოლშევიკების ეს დაზვერა, გამოწვეულია იმ რეპრესიებით, რომელიც მიღებულია კომუნისტების წინააღმდეგ თვით ლატვიაში. მდგომარეობა სერიოზულად ითვლება, რადგანაც ლატვიის საზღვარზე დგას 60 ათასი წითელი არმიელი.

ბოლშევიკების აგენტთა რაოდენობა ევროპასა და ამერიკაში.

პოლონურ წყაროების მიხედვით გერმანიის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ჟამად ევროპასა და ამერიკაში ბოლშევიკებს 15 ათასი აგენტი ჰყავთ, ბოლშევიზმის გასავრცელებლად. მარტო ინგლისში მოიპოვება 800 უმთავრესი აგენტი, პოლონეთში—600, იტალეთში—540. აგიტატორების გარდა ბოლშევიკებს ევროპასა და ამერიკაში მოუწყვიათ სტამბებიც;—საფრანგეთში 4, ინგლისში—2 და ამერიკაში 8 სტამბა.

ქვანახშირის მაღაროების მუშათა გაფიცვის ლიკვიდაცია.

უელსში ქვანახშირის მაღაროების მუშათა გაფიცვა დასრულდა და მუშებმა წარმოება განაახლეს.

ბოლშევიკების შპიონაჟი

ბერლინში მყოფმა საბჭოთა რუსეთის მისიამ ცირკულიარი მიიღო საბჭოთა მთავრობისა, რომელი ცირკულიარითაც წინადადება ეძლევა ბერლინისა, ვენისა, ლონდონისა, რომისა, პრაგისა და დასავლეთ ევროპისა და აზიის საბჭოთა რუსეთის ყველა აგენტებს, ყოველ თვე წარმოადგინონ ხოლმე ანგარიშები შემდეგ საკითხებზე: 1) რაოდენობა რუსი ემიგრანტების ამა თუ იმ რაიონში, 2) მათი სოციალური მდგომარეობა: უმაღლესი მოხელენი ყოფილ საიმპერატორო სასახლისა, გენერლები, მწერლები, ჟურნალისტები, მსახიობნი, პოლიტიკური მოღვაწენი რითი სცხოვრობდენ და რას აკეთებდენ 1918—1920 წლამდე, რა საქმეს ადგანან ახლა, 3) დაწვრილებითი სია რუს კაპიტალისტებისა, უმუშევართა და იმ რუსებისა, რომელნიც მოისურვებენ სამშობლოში დაბრუნებას, 4) სია იმ უცხოელთა, რომელნიც ეშველებიან და დახმარებას უწევენ რუს კონტრ-რევოლიუციონერებს, მათი სახელი და გვარი, პროფესია და აგრეთვე დახასიათება მათი, 5) აქტიური მუშაობა ანტიბოლშევიკურ პარტიებისა, როგორც რუსების, ისე უცხოელების. დაწვრილებითი ცნობები სოციალისტურ პარტიების შესახებ და ვინაობა მათი მეთაურებისა. დაბოლოს, ცირკულიარი მოითხოვს რომ, გამუდმებით თვალყური ადევნონ ანტი-ინტერნაციონალისტურ მოძრაობას.

დეპეშები.

ს. დ. ს. ს. რ. ცნობები

ბოლშევიკების სამზადისი.

ბერლინი. უკანასკნელ დღეებში მივიღეთ ცნობები ბოლშევიკების სამხედრო მზადების შესახებ რიგის ახლო. წითელ ლაშქარი გროვდება აგრეთვე ესტონეთის საზღვრებთანაც. ესტონეთის მთავრობამ, რომელსაც მხოლოდ 12.000 კაციანი ლაშქარი ყავს, ქვეყნიდან სასწრაფოდ გამოიწვია გენ. ლეიდენერი. საბჭოთა მთავრობა არა ფარავს, რომ ერთად ერთი გამოსავალს რუსეთის თანამედროვე მძიმე ეკონომიურ კრიზისიდან წარმოადგენს ომი და ახალ ტერიტორიათა ოკუპაცია. მოსკოვი სამხედრო მოქმედებათა დაწყებას თებერვალში ფიქრობს.

ინგლისელი ტყვეები რუსეთში.

ლონდონი. რუსეთიდან ჩამოსულმა ბრიტანელმა ტყვეებმა პარლამენტის კომისიას გაუკეთეს მოხსენება რუსეთში თავის ტყვეობის შესახებ. საბუთების და მიხედვით ინგლისელები დაუპატიმრებიათ სრულებით უდანაშაულოთ. მათი საქმის გამო არ სწარმოებდა გამოძიება და სასამართლო. ტყვეებს ფიზიკურსა და ზნეობრივ ტანჯვას აყენებდენ. ინგლისელები და სისხლის სამართლით დასჯილნი ერთად იმყოფებოდენ. საბჭოთა საპყრობილეებში დაპატიმრებულთა რიცხვი იმდენათ დიდია, რომ 32 კაცისათვის დანიშნულ კამერაში მოთავსებული იყო 170 კაცი.

რუსეთი და საბერძნეთი.

სტამბოლი. ბერძნული პრესა გადმოგვცემს: ათინაში მინისტრთა საბჭოს სხდომაზე რალისმა განაცხადა: ფრაკიის ტერიტორიაზე შემოიჭრა 30.000 რუსის ჯარის კაცი. საბერძნეთის ჯარის მთავარ სარდალს მიეცათ სათანადო ინსტრუქციები საჭირო ზომების მისაღებად.

ამერიკა და რუსეთი.

ვაშინგტონი. ჟურნალი ,,რევერზიუზ'' ,,ინტპრეისი'' ბეჭდავს რუსეთში მყოფ ამერიკის განსაკუთრებულ საელჩოს ყოფილ თავმჯდომარე რუტის წერილს. წერილის ავტორი მომხრეა იმისა, რომ მეგობრული დამოკიდებულება დამყარდეს რუს-ხალხთან. ბ. რუტი სწერს: ,,მე ჯერ ვკარგავ რუსეთის მომავლის იმედს სულ მხოლოდ სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იქ ტახტიდან ჩამოაგდეს უკანასკნელი მეფე. ამერიკამ თავის დამოუკიდებლობის დეკლარაციას ხელი მოაწერა 1776 წელში და მტკიცე მთავრობა დაამყარა 23 წლის შემდეგ. საფრანგეთმა, რომელმაც 1893 წელში თავი მოჰკვეთა ლიუდოვიკო-16-ს, შემდეგ განიცადა ტერორის, დირექტორიის, იმპერიის, რესტავრაციის, მეორე რესპუბლიკისა და მეორე იმპერიის პერიოდები. მტკიცე წესწყობილების დასამყარებლად საფრანგეთს დასჭირდა ორი თაობა. ინგლისმა, რომელმაც თავი მოჰკვეთა კარლოს პირველს 1649, 11 წლის ანარქიის შემდეგ ტახტზე დასვა კარლოს მეორე და თითქმის ორმოცი წელი მოუნდა წესრიგისა და მტკიცე წყობილების დამყარებას. იმედი გვექნეს, რომ რუსეთიც შესძლებს ქაოსიდან გამოსვლას და ნორმალურ სახელმწიფოებრივ გზაზე დადგომას უფრო ადრე. სისხლის ღვრელ ბრძოლებითა და მძიმე გაჭირვებით რუსეთი შექმნის ძლიერსა და კულტურულ დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამერიკამ წინდაწინვე უნდა გაითვალისწინოს ეს და ეხლავე ხაზი გაუსვას თავის აქტიურ მეგობრობას რუსი ხალხის მიმართ. ამერიკამ უნდა გამოსძებნოს საშვალება და დახმარება გაუწიოს რუსეთს, რომელიც ამ ჟამად გაჭირვებისაგან იხრჩობა.

ფრანგული ცნობები

მუსტაფა ქემალ ფაშა.

ლიონი 20 1. კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან: რომ ის პოპულიარობა, რომლითაც სარგებლობდენ მთელ ოსმალეთში მუსტაფა ქემალ-ფაშა, ანატოლიის მთავრობის მეთაური სწრაფათ დაეცა ოსმალეთის დედა ქალაქის ქალების თვალშიო. თანახმად ანგორიდან მიღებულ ცნობებისა, ნაციონალისტების ლიდერმა გამოსცა დეკრეტი ძველ მუსულმანურ ადათების მტკიცეთ შესრულების შესახებ, რომლებსაც ახალთაობა გვერდს უვლიდა. მუსტაფა, როგორც ეს ბოსფორის ბანოვანებმა შეიტყვეს, მოითხოვს, რომ ქალებმა ატარონ ჩადრი და არ გამოვიდენ სახლებიდან განსაკუთრებულ შემთხვევების გარდა, და არ იარონ კინემატოგრაფებში. ამ დეკრეტმა დედა ქალაქში მცხოვრები მამა კაცთა და დედაკაცთა სქესები განცვიფრებაში მოიყვანა.

თანამედროვე ოსმალო ქალები ჩადრებს და ჰარამხანებს მოძველებულათ სთვლიან და ისინი უფრო დაწინაურებულ განათლებულ იდეებით არიან აღჭურვილი.

მარინეტი და დანუნციო

სენიორი მარინეტი, ფუტურიზმის დამაარსებელი, რომელსაც დანუნციოსათვის დახმარების აღმოჩენის გამო მთავრობა დაეძებდა, გაიქცა იტალიიდან და ამ ჟამად პარიზში იმყოფება. მან ფუტურიზმის შესახებ რამოდენიმე ლექცია წაიკითხა. მარინეტი აღმერთებს ყოფილ ფიუმეს დიქტატორს და ამასთანავე ფუტურიზმის მიმართ დიდ აღფრთოვანებას იჩენს. ,,იტალიის ფუტურისტები მომხრე არიან დანუნციოსი, მიუხედავათ იმისა, რომ მათი შეხედულება ლიტერატურაზე განსხვავდება დანუნციოს შეხედულებისაგან, ,,ამბობს ფუტურისტების მოციქული,'' მაგრამ ჩვენ მხარს უჭერთ დანუნციოს იმიტომ, რომ ომის დროს მან გამოიჩინა ფუტურისტული ტემპერამენტი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

გერმანული ცნობა

რუსეთი და ინგლისი

ნაუენი 19 იანვარი. მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, იმის შესახებ, რომ ბრიტანეთ რუსეთის დამოკიდებულებაში დადგა კრიტიკული მომენტი იმ აზრით, რომ ბრიტანეთის მთავრობა არ ასრულებს ივლისის ხელშეკრულებას. ჩიჩერინი კერზონისადმი გაგზავნილ ნოტაში აცხადებს, რომ რუსეთს არ სურს მიიღოს ინგლისის დამატებანი და სთვლის საჭიროთ კონფლიქტის ასაცილებლად პოლიტიკურ კონფერენციის მოწვევას. გაზეთი ,,რევიუ დე დემონდი'' აქვეყნებს, საფრანგეთის ყოფილ ელჩის პალეოლოგის განცხადებას იმის შესახებ, რომ ის და ვივიანი ჯერ კიდევ 1914 წლის ივნისში სთვლიდენ ომს აუცილებლადო.

პეტროგრადში მყოფი საფრანგეთის და ინგლისის ელჩები დათანხმდენ ემოქმედათ რუსეთთან ერთად და ისინი ფიქრობენ მთელი პასუხის მგებლობა გერმანიისათვის მოეხვიათ თავზეო.

რუსეთის ცნობები.

აღმოსავლეთი და ამერიკა

მოსკოვი ვლადივოსტოკი. საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კოჟევნიკოვი აღნიშნავს, რომ ამერიკასა და საფრანგეთს სურთ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენაო. ბევრი უცხოელი ინჟენერი სთხოვს კოჟევნიკოვს გამოიყენოს რესპუბლიკამ მათი ტეხნიკური ცოდნა.

ნავთის წარმოება

მოსკოვი 20 იანვარი. რუსეთის ნავთით მდიდარმა მიწებმა—ბაქო, გროზნომ და ფერგანის ოლქმა, რომლებიც ომამდე საშუალოთ ყოველ წლიურათ 500 მილ. ფუთზე მეტ ნავთს იძლეოდენ. 1921 განმავლობაში 203 მილ. ფუთი ნავთი მაინც უნდა მოგვცეს. იყო დრო, როდესაც რუსეთს მსოფლიოში პირველი ადგილი ეჭირა ნავთის დამუშავებაში. რუსეთში კიდევ ბევრია ნავთიანი ადგილები, რომელთა დამუშავება ჯერაც არ დაწყებულა. ამ რიგად რუსეთის განკარგულებაში დიდ ძალი ნავთის პროდუქტები იმყოფება. 1920 წლის აგვისტოში ბაქოში და გროზნოში სულ 309 მილ. ფუთი ნავთი იყო დაგროვებული 1921 წლის განმავლობაში ნავთის მარაგი 305 მილ. ფუთამდე გვექნება. სამი მეოთხედი ამ მარაგისა ე. ი. 100 მილ. ფუთი ჩვენ შეგვიძლია გავიტანოთ საზღვარ გარეთ და იმით სხვა და სხვა საქონელი შევიძინოთ.

პარტიული ცხოვრება.

არა—სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებული კონფერენცია

გაიხსნება კვირას, იანვრის 23 ნაშუადღევს 5 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში (თავისუფლების მოედანი).

კონფერენციაზე დასასწრები ბილეთები სტუმრებს შეუძლიან მიიღონ გაზეთ ,,საქართველოს'' კონტორაში (რუსთაველის პროსპ. № 11) საკონფერენციო კომისიის მდივანთან.

საკონფერენციო კომისია.

ახალი ამბები

მთავრობაში.

— სამრეწველო დაწესებულებების რევიზია. მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება ფინანსთა მინისტრისა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების რევიზიის შესახებ, დაადგინა: მისცეს ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრს უფლება იმ წარმოებათა რევიზიისა, რომელთაც მიეცათ სახელმწიფო დახმარება, და აგრეთვე იმ წარმოებათა, რომელთაც თუმცა სახელმწიფო დახმარება არ მიუღიათ, მაგრამ რომლებიც საქმის მდგომარეობის და მიხედვით საჭიროებენ რევიზიას. ამასთანავე მთავრობამ დაადგინა დანიშნოს მთავრობის წარმომადგენლები იმ წარმოებებში, რომელთა რევიზიაც უნდა მოხდეს და მთელი ხარჯები ამავე წარმოებებს გააწეროს.

— ქალაქთა კავშირში. მთავრობამ დაადგინა: მიეცეს ნება ქალაქთა კავშირს რესპუბლიკის საზღვრებიდან 25.000 ფუთი თხილის გატანისა ბაჟის გადაუხდელად.

— მედიკამენტების განაწილება. მთავრობამ დაადგინა დაავალოს ფინანსთა მინისტრს შეფასება დაკავებულ კონტრაბანდულ საქიმიო ტვირთისა და გადასცეს შემდეგ იგი ცენტრალურ სააფთიაქო საწყობს საქიმიო სასანიტარო დაწესებულებათა შორის გასანაწილებლად.

— დახმარება ქალაქებსა და კოოპერატივებს. თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა მისცეს ქალაქთა კავშირსა და კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირს სესხად 15 მილ. მან. ხუთი წლის ვადით 3 1|2 პროც. ეს სესხი მათ სამრეწველო თანხიდან უნდა მიეცეს.

სამინისტროებში.

— ზღვის ღორების დაჭერა. მიწად მოქმედების მინისტრის საბჭომ, მოისმინა რა მოხსენება ბ. რეინვალდისათვის საკონცესიო საფუძველზე შავი ზღვის ნაპირებში ზღვის ღორების ჭერის უფლების მინიჭების შესახებ, დაადგინა: ნება დართოს ბ-ნ რეინვალდს ზღვის ღორების ჭერისა შავი ზღვის სანაპიროებში. გადასახადთა განყოფილებას წინადადება მიეცა, რომ მან თანახმად ამ დადგენილებისა შეიტანოს ცვლილება ხელშეკრულებაში.

— სატყეო კონცესიები. მიწად მოქმედების მინისტრის საბჭომ პრინციპიალურად მიიღო სატყეო კონცესიების ხელშეკრულების პროექტი.

— ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებაში. ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ შეადგინა და მუშათა მაგიდას გადაუგზავნა ანგარიშები იმ ხარჯებისა, რომლებიც სასურსათო განყოფილებამ გასწია ხორბლის გაწმენდასა და დაფქვაში და თბილისის მუშათა და მოსამსახურეთათვის პურის გამოცხობაში 1920 წლ. დეკემბრის განმავლობაში. ანგარიშის მიხედვით განყოფილებას დეკემბრის განმავლობაში დაუხარჯავს 9.739.913 მანეთი. საანგარიშო თვის განმავლობაში გამოუცხვიათ 57.005 ფ. და 25 ნ.ხ. გირვანქა პური. მუშათა და მოსამსახურეთა შორის გაუნაწილებიათ 56.924 ფ. გამოცხობისას ერთ ფუთ ფქვილს საშუალოთ ემატებოდა 17,64 გირვანქა პური.

— შეშის მომარაგება. სასურსათო განყოფილებამ რკინის გზის სამმართველოს მიმართა თხოვნით რათა რაც შეიძლება მალე გაიხსნას ფოთის ახლო ხეთის ქუჩაბანდი, რადგან ამ ადგილას უკვე მოტანილია რამოდენიმე ვაგონი შეშა. შეშის გამოუტანლობას ტფილისში ხელს უშლის ის მოვლენა, რომ ქუჩაბანდი ჯერ კიდევ არ არის გახსნილი.

— ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოში. თელავის მაზრის სოფელ ფშაველში (თელავიდან 18 ვერსზეა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

— ბათომი. 19 | 1. (სანდოსანის ს. ქ.) დასრულდა იმ კომისიის მუშაობა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა რ. ს. ფ. ს. რ.—სათვის გემების გადაცემის საქმე. შეადგინეს გემების სია, რომელიც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას გადაეცემა. ეს გემები უკვე გადაეცა ზემოაღნიშნულ რესპუბლიკის წარმომადგენელს ზვეგევს თანახმად 7 იანვრის ოქმისა და საქართველოს ნავთ სადგურთა უფროსის განკარგულებისა.

— სოხუმის ვაჭართა კავშირი. სოხუმი. 15 | 1. (სანდოსანი საქ. კორესპ.). ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველთა წრეებმა გადაწყვიტეს აღადგინონ სოხუმის ვაჭრობა მრეწველობის კავშირის მოქმედება.

— სოხუმის მცხოვრებთა აღწერა. იანვრის 6-ს სოხუმში შეუდგენ მცხოვრებთა აღწერას. ქალაქის თვით-მართველობამ მიმართა მოქალაქეთ ახსნა განმარტებით ამ აღწერის შინაარსისა და მიზნის შესახებ. ქალაქის განაპირა უბნებისა და მიდამოების მცხოვრებთა აღწერა დანიშნულია იანვრის 23 სათვის. აღწერისათვის ქალაქი დაყოფილია 5 რაიონებათ.

— აფხაზეთის ეკონომიური საბჭო. აფხაზეთის სახალხო საბჭოში შეიტანეს პროექტი კომისარიატთან ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა განყოფილებისა და საბჭოში და ამ განყოფილებასთან ეკონომიურ საბჭოს დაარსების შესახებ.

— მცხოვრებთა აღწერა. იანვრის 21 დამთავრდა 1, 3 და 13 უბნის მცხოვრებთა აღწერა. იანვრის 22 დამთავრდება სხვა დანარჩენ რაიონთა აღწერაც. იანვრის 19-დან აღწერილი იყო 55.000 ამომრჩეველი.

— სასოფლო მეურნეობაში. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პალატის საორგანიზაციო კომიტეტმა დაადგინა იანვრის მეორე ნახევარში ტფილისში მოიწვიოს სასოფლო მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენელთა ყრილობა. ამ ყრილობაზე გამორკვეული იქნება სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა და მეურნეობის სხვა და სხვა დარგიდან ყრილობის საბჭოს წევრებს ამოირჩევენ. სხვათა შორის მომავალ ყრილობის პროგრამაში შედის სასოფლო სამეურნეო პალატის ორგანიზაციაც.

— ტფილისის ელექტროფიკაცია. ქალაქთა კავშირში ამთავრებენ მდ. ხრამის წყლის ძალის გამოკვლევისა და დამუშავების პროექტს. ეს ძალა სურთ გამოიყენონ ტფილისის რაიონისა, კოჯორის ტრამვაისა და სხვ. საელექტროფიკაციოთ. ამასთანავე მიღებულია ზომები, რომ გზათა დეპარტამენტთან ერთად დაამუშაონ აღმოსავლეთ საქართველოს რკ. გზათა ელექტროფიკაციის პროექტი. ქალაქთა კავშირის პროექტით წინდახედულია 8 სადგურის მოწყობა ამ სადგურებს ექნებათ დაახლოვებით 50.000 ცხენის ძალა. სადგურები მოწყობილი იქნება თანდათანობით. პირველი სადგურის კეთებას შეუდგებიან პროექტის დამუშავების შემდეგ დაუყონებლივ.

— ქალაქის ტრამვაი. თბილისის ქალაქის გამგეობა ფიქრობს აღადგინოს ტრამვაის მუშაობა ხუთშაბათიდან. ამ ჟამად ვაგონების შეკეთება ხდება. განზრახულია მოძრაობაში 45 ვაგონის გამოშვება.

ქალაქის შრომის ბირჟამ მიმართა ქალაქის გამგეობას შუამდგომლობით შრომის ბირჟის ორი განყოფილების გახსნის შესახებ ერთი თბილისის სადგურის მახლობლად და მეორე ავლაბარში.

— მომარაგება მუშებისათვის. მუშათა მაგიდა თებერვლის პირველიდან გამოსწერს ორდერებს პურზე 4 დღისათვის ერთად. პურის მიღება კი ფურნეებში ყოველ დღე შესაძლებელი იქნება. მუშათა მაგიდა სთხოვს ახალ ჯგუფების წარმომადგენლებს მო-მარაგონ საჭირო თანხა.

— მუშების რეგისტრაცია. მუშებისა და მოსამსახურეების რეგისტრაციის ახალი წესის გამო, მუშათა მაგიდამ მოახდინა თბილისის წარმოებების და დაწესებულებების სრული გადაჯგუფება. სულ 79 ჯგუფი შესდგა.

მუშათა მაგიდა სთხოვს ყველა მათ, ვინც მომარაგების ფონდიდან სარგებლობს სურსათ-სანოვაგით, გაერთიანდეს ახალი ჯგუფებისდა მიხედვით, რომელთა სიებიც უკვე გამოცხადდა მუშათა მაგიდაში და გამოგზავნონ თითო ჯგუფიდან თითო წარმომადგენელი იანვრის 25, საღამოს 6 საათ. მუშათა მაგიდაში გაერთიანება უნდა მოხდეს თანახმად იმ ჯგუფებისა, რომლებიც მუშათა მაგიდაში არის გამოცხადებული. არავითარი ცვლილება არ იქნება მიღებული. ყოველი მუშა და მოსამსახურე სურსათ სანოვაგეს მხოლოდ თავის დაწესებულებიდან მიიღებს.

— კოოპერატივებში. თბილისის კოოპერატივთა სარაიონო კავშირი კოოპერატიულ სასადილოების გახსნას შეუდგა. პირველი კოოპერატიული სასადილო გაიხსნა უკვე ვაკეში.

— პროფ. კავშირის ყრილობა. საქართველოს რესპუბლიკის მიწის მზომელთა ცენტრალურ კომიტეტს ა | წ. კვირას 23 იანვარს დანიშნული აქვს პროფესიონალური კავშირის დელეგატების ყრილობა, რომელიც შესდგება სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ქ № 12) დილის 10 საათზედ, სადაც მოწვეულნი არიან ყველა ის დაწესებულებები და პირები, ვისაც კი აინტერესებს საერთოდ ეს ყრილობა, რომელიც გამოწვეულია უმთავრესად აგრარული რეფორმის საქმეების გამო.

სიეზდის პროგრამა: 1) დელეგატების მოხსენებანი ადგილებიდან, 2) აგრარული რეფორმის დაჩქარებისათვის მისაღები ზომები, 3) მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა, 4) კოლექტიური შრომის ხელშეკრულება, ურთიერთ შორის დამოკიდებულება იმ ორგანოების. რომელთაც დაკისრებული აქვთ საერთოდ რეფორმის ცხოვრებაში გატარება და მიწის მზომელთა მდგომარეობა მათში, 6) მოხსენება განსაკუთრებულ რწმუნებულებზედ და კომისიებზედ, 7) ნაფიც მიწის მზომელთა ინსტიტუტის შექმნა, 8) შრომის ბიურო და გეოდეზიური კაბინეტი, 9) ცენტრალური კომიტეტის წლიური ანგარიში, 10) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 11) მიმდინარე საკითხები და 12) ახალი არჩევნები ცენტრალურ კომიტეტში.—

— რედაქციამ მიიღო შიო მღვიმელის „სალაშქრო ლექსები“.

— ახალი წიგნი. მთავრიშვილის ამხანაგობამ დაბეჭდა პროფესორი ბროუნოვის ფიზიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელო, მე-5-ე კლასის კურსი, გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული ქალთა მე-5-ე გიმნაზიის მასწავლებლის ეკ. ყიფშიძის ასულის მიერ.

— პროფესიონალური კავშირის საღამო. იანვრის 22 ს სახელმწიფო დრამის თეატრის სამუსიკო დარბაზში რესტორან კლუბების მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირი მართავს კონცერტ-კაბარეს, რომლის შემოსავალი (ნახევარი) მოხმარდება ფრონტის საჭიროებას, ხოლოთ მეორე ნახევარი უმუშევართა სასარგებლოთ გადაიდება. ამ საღამოსთვის მოწვეული არიან ყველა საუკეთესო არტისტული ძალები თფილისის თეატრებსა. დრამის ქართულ-რუსულ, ოპერისა და სხვებისა. საღამოს კონფერანსიე იქნება მსახიობი ნ. ტარსოვი. მოწვეული არის აგრეთვე სიმფონიური ორკესტი გველესიანის ლოტბარობით. კაბარეს დროს გაიმართება ვახშამი საღამოს დიასახლისად არიან ქ-ნნი ბახტაძისა და მაისურაძისა. დასაწყისი საღამოს 9 ნახ. საათ.

გაზ. ,,ახალ სხივის‘‘ ჯგუფს გადაუწყვეტია გაზეთი ყოველ დღიურად გამოსცეს. გამომცემლობისათვის მიუმართავთ ალ. არაბიძისთვის, რომელსაც ჯერ გადაჭრითი პასუხი არ მიუცია.

მასწავლებელთა კოოპერატივ ,,უნივერსალში‘‘ ეძლევა წევრებს ყველი, ერბო, ლობიო, საპონი და სხვა სანოვაგე. ღიაა 11—5 საათამდე. დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5.

მოწოდება.

26 იანვარს ქართველი სტუდენტობა ოდღესასწაულებს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების სამი წლის თავს. 26 იანვარი ,,სტუდენტთა დღე‘‘—ერთი დიადი დღეთაგანია ქართველი ერისათვის: ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი ჩვენი მეცნიერების ტაძარს, ქართულ უნივერსიტეტს. სამი წელი სრულდება, რაც არსებობს იგი, ეს აკვანი ჩვენი მეცნიერებისა. დიდია მისი მნიშვნელობა, დიადია მისი დანიშნულება ქართველი ერისათვის. მეცნიერულად აღზრდილი, შემოქმედების ცეცხლით აღგზნებული ქართველი სტუდენტი, ეს სიმბოლო ჩვენი ერის კულტურულად აყვავებისა. ქართული უნივერსიტეტი ის წმინდა ადგილია, სადაც უნდა აღიზარდოს ასეთი სტუდენტობა. ამიტომაც დღე მისი დაარსებისა—,,სტუდენტთა დღე‘‘ 26 იანვარი,—არის ამავე დროს დღე უაღრესად ეროვნული.

ქართველი სტუდენტობის საკუთარ უნივერსიტეტში არსებობას სამი წლის ისტორია აქვს... მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არ ჰქონია საშუალება ჩუმი, აკადემიური მუშაობისა. ის დაეწაფა მეცნიერებას, მაგრამ მუდამ ფხიზლად ეჭირა თვალ-ყური იმ თავგანწირულ ბრძოლა შემოქმედებისათვის რომელსაც აწარმოებდა ქართველი ერი ის ზეიმობდა მშობლიურ ერის ზეიმთან ერთად, მაგრამ მუდამ მზად იყო მტრებთან საბრძოლველად, როცა მის სამშობლოს განადგურებით ემუქრებოდნენ.

სამი წელი გადის:... 26 იანვარს ქართული სტუდენტობა მთელს საქართველოში მოაწყობს თავისი ,,ტრადიციულ დღეს‘‘ ამ დღეს ის გააცნობს საზოგადოებას თუ რისი გაკეთება სურდა მას, რა გააკეთა ან ვერ გააკეთა მან და რა პერსპექტივებს ისახავს ის მომავლისათვის. ამიტომ ქართველი სტუდენტობა მოუწოდებს მთელს ერს, ყველას, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებს და კერძო პირთ ყველას ვისაც კი აქვს შეგნება მოქალაქეობრიობისა და დაინტერესებულია ქართველი სტუდენტობით, მიიღოს აქტიური მონაწილეობა ,,სტუდენტთა დღის‘‘ მოწყობაში, რათა სტუდენტობა დარწმუნდეს, რომ ის განმარტოებული არ არის, არამედ მასზე გული შესტკივა, მისთვის ზრუნავს და მასთან არის მთელი ერი.

,,სტუდენტთა დღის‘‘ მომწყობი კომისია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი.

სამაზრო ერობათა კავშირებს, აფხაზეთის კომისარიატს და თბილისის ქალაქის გამგეობას. დამატებით ა.წ. 8 ოქტომბრის № 225545 ცირკულიარულ მომართვისა, კანცელარია გატყობინებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მოწყობილმა კომისიამ საჭიროდ სცნო შეცვლილ იქმნას აღნიშნულ ცირკულიარის პირველი მუხლი იმ მხრივ, რომ სამხედრო მიმღებ კომისიების სამხედრო წევრებსაც უნდა მიეცეთ დღიურები შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხიდან იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ მიემგზავრებიან თავის მუდმივ სამსახურის ადგილიდან, რადგანაც უკანასკნელ შემთხვევაში ისინი დღიურებს ღებულობენ სამხედრო უწყებიდან. ამის გარდა წარმოდგენილ დაწვრილებით ანგარიშში აღნიშნული უნდა იყოს თუ რამდენჯერ მოხდა კომისიების სხდომები და რამდენი წევრები იღებდა მონაწილეობას, ყველა ეს ცნობები წარმოდგენილი უნდა იქმნას სამინისტროში მხოლოდ მაისის მობილიზაციის, მარიობისთვის სასწავლო ყრილობის, და უკანასკნელ ნოემბრის მობილიზაციის დროს მუშაობის შესახებ.

პატარა ფელეტონი.

პოეტები

პაოლო ცხოვრობს ლექსისათვის,
ვით რობაქიძე,—
მათი რითმები ლურსმულია
და მოფაქიზე.

——

რამ შეაყვარა აშორდია ამ ვალერიანს:
მის ოფელიას ხშირად ვხედავთ
კავალერიანს.

——

მხოლოდ ახსენე თავო ჩემო
ორი ტაბიძე,—
მათი სახელი ყველამ იცის
თუგინდ დაფიცე.

——

პუბლიცისტობა პოეტობას
არჩია ლელიმ,
თუმც სიყვარული ლექსისადმი
მუნ აქვს უცვლელი,

——

არბევს ქუთაისს ნადირაძე
ცხვირგატეხილი:
უყვარს არლანი, სამიკიტნო,*)
მწიფე ხეხილი.

——

მეორე წიგნს ცემს კიდევ თურმე
მარტში გვეტაძე,
მეც გამოვცემდი უქმ ოცნებას
რომ გავეტაცე.

——

და ცირეკიძე, ქალებს რომ წვავს
ნაზი ყურებით(?)
რომანს გვპირდება მხოლოდ მარტო
სათაურებით.

——

საქართველოში შექსპირს ბაძავს
შანშიაშვილი,
,,ბერდო ზმანია‘‘ ამას მოწმობს,
თუმც არის ჩვილი.

——

დაკარგულ კოსტჯუმს კიდევ ტირის
კარმელი შალვა,
რადგან ჰპირდება ამ ზაფხულზე
მას გადაფშანვა.

——

მიწიშვილს უყვარს თურმე ლექსი,
როგორც ოკრიბა
რისთვისაც ქვეყნად რაც რითმაა
ყველა მოკრიბა.

——

გრიშაშვილს აღარ ეძახიან
ბაზრად ,,ფირუზას‘‘
რადგან სისუსტე შეეპარა
თურმე მის მუზას.

პარდონ.

---

*) იხ. მისი ლექსი ,,ავზნიანი ქალაქი‘‘ ყოველ დღე სახელმწიფო დრამის თეატრში ,,გუშინდელნში‘‘.

ილია ალხაზიშვილი.

13 იანვარს, თბილისში, მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა უხუცესი ქართველი ფარმაცევტი ილია სოლომონის ძე ალხაზიშვილი.

ვინც პირადათ იცნობდა ილიას, კეთილ შობილს და უპატიოსნეს მუშაკს, ვისაც ახსოვს მისი მუშაობა არა მარტო მშობლიურ ფარმაციაში, არამედ ქართულ მწერლობაშიც უსათუოდ გულის ტკივილით შეხვდება ამ სამწუხარო ამბავს.

თანამედროვე გერმანიის პოლიტიკისა და კულტურის პრობლემები.

გაგრძელება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ 10 საუკუნის განმავლობაში არც ერთი ზავი არ ჩამოვარდნილა ევროპიელ სახელმწიფოთა შორის, რომელშიაც ამდენი უსამართლობა და ომის მასალა ყოფილიყო.

თვით დოკუმენტის კილოზე შეატყობს მიუდგომელი მკითხველი, რომ ეს ზავი სულ მოკლე ხანში ახალ ომებისა და სისხლის წვიმების წინ დაგვაყენებს.

ევროპისშუაგულში 66 მილიონიან გერმანიის ხალხს კარს უკეტავენ ზღვა და ხმელისკენ მუშაობისა და თავისუფალ ვაჭრობისაკენ.

შეადარეთ ეს ზავი ვესტფალის ზავს, რომლითაც 30 წლიანი ომები გათავდა ევროპაში.

1 მუხლი ვერსალის ზავში იმ ბრალზე მოგვითხრობს გერმანიას და ავსტრიას რომ მიუძღვის ვითომ მსოფლიო ომის დაწყებაში.

ვესტფალის ზავის პირველი მუხლი ამბობს:

1. ქრისტიანული, საერთო—მუდმივი ზავი და გულწრფელი მეგობრობა უნდა დამყარდეს მეომარ სახელმწიფოთა შორის.

მე-2. მუხლი საყოველთაო ამნისტია; უნდა დავიწყებულ იქმნას სამუდამოდ ყოველივე ზარალი, წყენა სიტყვით თუ საქმით ერთი მეორისადმი მიყენებული.

მე 9 პუნქტი. უნდა აღდგენილ იქნას ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლება.

მე-4 სექცია. ლოტარინგიის გარშემო ატეხილი დავა მშვიდობიანის მოლაპარაკებით გათავდეს.

ვერსალის ზავის პირობებს რომ კითხულობთ, ასე გგონია ადამიანს თითქოს ეს ზავი უბრალო პაუზა იყო მსოფლიო ომის და არა მისი დასასრული.

საგულისხმოა, რომ ვერსალის ზავის პირობებში შეტანილია ხალხთა ლიგის სტატუტი, რომელშიც ჰაიტს და შავკანიანებს ჰყავთ თავისი წარმომადგენელი და გერმანიას არა.

აქ ადგილი არაა იმ დიდ გერმანელთა სახელების ჩამოსათვლელად, რომელნიც არა მარტო ევროპიელ ერების, არამედ მთელი ადამიანობის სოლიდარობისა და შეთანხმების იდეებს ჰქადაგებდნენ. მარტო ემანუელ კანტის დიდი სახელი რათა ღირს, რომელმაც თავის მარადიულ ზავის ტრაქტატში მთელი გეგმა მოგვცა ხალხების ლიგისა. გიყვარდეს შენი მეზობელი ერი, როგორც შენი საკუთარი სამშობლო, ამას ჰქადაგებდნენ კანტი და შილლერი, ბოლოს გოეთე უდიდესი ევროპიელი, რომელიც თვით გერმანიის ისტორიული მტრის საფრანგეთის შეგუებას უქადაგებდა თავის ერს. გოეთე, რომელსაც სწამდა რომ ერთ ნათელ დღეს აღმოსავლეთი და დასავლეთი ძმურად ხელს გაუწვდიან ერთი მეორეს.

გერმ. ისტორიკოსი ტრაიტშკე სწერს: ჩემს დროს გერმანიაში ერთ სახალხო ლექსს მღეროდნენ:

,,როცა გერმანელები გაგერმანელდებიან
დაამყარებენ ქვეყნად სამეფოს მშვიდობისას‘‘.

ამასვე ჰქადაგებდნენ გერმანული იდეალიზმის დიდი ფილოსოფოსები. პრაქტიკულადაც გერმანელებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ევროპის პოლიტიკურ სოლიდარობისათვის აღზრდაში*).

გერმანიის თავისუფალ ქალაქების კავშირი ჰანზა, პირველი ინტერნაციონალური ორგანიზაცია იყო, რომელიც აერთებდა ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და შავი ზღვის პირად მდებარე ოლქებს.

ადამიანების ტეხნიკურ ცივილიზაციური წინსვლა რომ მის ზნეობრივ პროგრესს არ მოასწავებს, ამის საბუთს სწორედ ვერსალის ზავი და გერმანიის და ავსტრიის დღევანდელი მდგომარეობა გვაძლევს. საერთოდ დღევანდელი ევროპა ასეთ ზნეობრივ დონეზე დგას, რომ არ შეიძლება რაბინდრანათ ტაგორეს წინასწარმეტყველურ სიტყვებზე არ შეკრთეს იმ ადამიანის გული, რომელსაც ადამიანის მოდგმის ზნეობრივი აღზრდა და წინსვლელობა სჯერა. ,,დასავლეთის ცივილიზაციის სისხლით დაცლილი მზე მწუხრისკენ იხრება‘‘. ასე ათავებს რაბინდრანათ თაგორე თავის უკანასკნელ წიგნს რომლის სათაურია:
,,ევროპიული ნაციონალიზმი‘‘
ამ 4-დე თვის წინად.

დღევანდელ ევროპის და კერძოდ გერმანიის მდგომარეობის შესახებ ფრიად საყურადღებო წიგნი გამოაქვეყნა ლონდონში, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფ. კეინსმა ვერსალის ზავის ეკონომიური შედეგი ჰქვია ამ შრომას

საგულისხმოა, რომ მისტერ კეინსი ინგლისის მთავრობის დელეგატი იყო მოკავშირეთა უზენაესი საბჭოში პარიზში, იმ დროს, როცა ვილსონი ლოიდ ჯორჯი კლემანსო ვერსალის ზავის პირობების საბოლოვო რედაქციას იმუშავებდნენ.

როცა პროფ. კეინსმა ვერსალის ზავის პირობების შეცვლის იმედი დაჰკარგა, მან თავისი მანდატი დაუბრუნა ინგლისის მთავრობას.

კეთილშობილი ევროპიელი მეტყველობს პროფ. კეინსის პირით ,,ინგლისის დამარცხება ევროპის დამარცხებას არასოდეს გულისხმობდა, სწერდა ვიქტორ ჰიუგო თავის დროს. ,,ევროპის დამარცხება ინგლისის დამარცხებას როდი მოასწავებს‘‘, ამბობს კეინსი.

როცა კლემანსო, ვილსონი და ლოიდ ჯორჯი პარიზში მუშაობდნენ, პროფ. კეინსი ლონდონს მიდიოდა ხანგამოშვებით; იგი აღშფოთებული იყო იმ გულგრილობით, რომლითაც ლონდონი შესცქეროდა ყველაფერ იმას, რაც მაშინ პარიზში ხდებოდა.

მისტ. კეინს საუცხოვოდ აგვიწერს ლოიდ ჯორჯ—კლემანსო ვილსონის კამათს.

უმადლო სურათი და უმაგალითო ეპიზოდი ევროპის ერების ისტორიიდან, 3 ადამიანი რომ 300 მილ. ხალხების ბედს სწყვეტდეს!

თუ როგორ გათავდა კლემანსო ვილსონის დუელი ეს ქვეყანამ იცის. ამ დუელის დარბაისელი სეკუნდანტი იყო ლოიდ ჯორჯი, ისეთივე უპარტიო სეკუნდატი, როგორც მეფისტო ფაუსტისა და ვალენტინის ფარიკაობაში.

,,ვილსონი არც გმირი იყო და არც წმ. მოწამე, ამბობს მისტერ კეინს, უფრო ბრმა დონკიხოტი, რომელიც ხელცარიელი ეძგერა მახვილით შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს. მას ხალხთა ლიგის მზა პროექტის ნაცვლად თავის ისტორიულ სიტყვის სტენოგრამა ჩამოჰყვა ევროპაში; და ევროპის მდგომარეობაზედაც ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მას.

პრაქტიკულად ვილსონს გათვალისწინებულიც არა ჰქონდა თუ როგორ უნდა გამოსდგომოდა ევროპიულ სინამდვილეს მისი 14—პუნქტი. არც ლოიდ ჯორჯს ჰქონდა საკმაო ინფორმაცია და ცოდნა ამ მხრით, მაგრამ იგი უფრო ელასტიური გონების პატრონია, ვიდრე ვილსონი.

,,ამგვარად‘‘, განაგრძობს კეინსი, პურიტანელი ვილსონი თავისი ცინიკური მასპინძლის და ელასტიური ლოიდ ჯორჯის მსხვერპლი გახდა‘‘.

შხამიანი სარკაზმები წაიღო მან პარიზიდან, ხოლო ინგლისის საზოგადოებამ იგი ცინიკურის სიცილით გაისტუმრა.

ომამდის ევროპის ცხოვრების უმთავრესი ფაქტორი იყო ევროპის კონტინენტზე მცხოვრებთა უზომო გამრავლება. ამ უზომოდ გამრავლებული ევროპის გამოსაკვებად უშველებელი ინდუსტრიალური აპარატის განუწყვეტელი მოძრაობა და მუშაობა იყო საჭირო. ევროპის მარჩენალი აპარატის ბერკეტები გერმანიის მხრებზე იყო უმთავრესად დაყრდნობილი. მის შესანარჩუნებლად და ევროპის გამოსაკვებად მუშა ხელის გამრავლება და გაიაფება იყო საჭირო. საჭირო იყო ახალი საწარმოვო ქსელების გაბმა როგორც ევროპაში, ისე ევროპის გარედ. ევროპას უნდა გაეორკეცებინა თავისი საწარმოვო დაწყებანი აზიაში და აფრიკაში. გერმანიამ ყველაზე აქტიური როლი იკისრა ამ დიდ საქმეში. მან ყველაზე სწორად აუღო ალღო ევროპის საჭიროებას. მიტომაც შესძლო გერმანიამ ხელფასის მინიმუმით მუშა ხელის მაქსიმუმის ამუშავება. უკანასკნელმა მსოფლიო ომმა დაარღვია და გაანადგურა როგორც გერმანიის, ისე მთელი ევროპის დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამეურნეო და საწარმოვო გეგმა და სისტემა.

დღეს მუშა ხელი დღითი დღე ძვირდება ევროპაში და კაპიტალისტურ დაწყებათ ყოველივე ნდობა ეკარგება. სადღაა მშვიდობიანობის დროის კაპიტალისტის ტიპი, შორს მჭვრეტელი პლანებით. ყველგან სპეკულიანტებმა დაიკავეს კულტურულ მწარმოებლების ადგილი.

ვისაც ეროვნული სიმდიდრე ხელში აქვს, იგი დაუზოგველად ხარჯავს მას, რათა სახელმწიფოს მიერ კონფისკაციას გადაარჩინოს თავისი საკუთრება. გასული საუკუნის მიწურულში ევროპის კაპიტალის დიდი ნაწილი ამერიკის, აზიის და აფრიკის ნიადაგის გამოყენებას ხმარდებოდა.

ამ ხანებში ევროპის მცხოვრებთა რაოდენობა არც ისე დიდი იყო როგორც დღეს. 1890 წ. იგი სამჯერ აღემატებოდა ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის მცხოვრებთა რაოდენობას. 1914 წლამდის 8 მილ. სული მოიმატეს შეერთებულმა შტატებმა.

1914 წლამდის ევროპა დასავლეთი რუსეთისა და რუმინიის პურით ირჩენდა თავს. ომმა ორივე მხარე გაანადგურა. დაინგრა და განადგურდა მთელი დასავლეთის ტრანსპორტი. მხოლოდ ინგლისი გადურჩა ამ განადგურებას.

თვალი გადავავლოთ ინგლისს, რომელიც თავის გეოგრაფიული იზოლაციის წყალობით მუდამ თავისებურ როლს თამაშობდა მსოფლიო განვითარებაში. ინგლისი მაშინ იგებდა, როცა რომელიმე ევროპიულ დიდ სახელმწიფოსთან ერთად მთელ ევროპას ამარცხებდა.

გასულ წელს ინგლისის ქვემო პალატაში საქვეყნოდ განაცხადა დეპუტატმა ჰალდირმა:

,,ვერსალის საზავო პირობების იმანენტური მხარე ის გახლავთ, რომ მას დიდი ბრიტანეთის მსოფლიო იმპერია ისეთ სიმაღლეზე აჰყავს, რომელზედაც იგი არასოდეს მდგარა, როგორც ახალი მიწების შემატების, ისე გავლენის განმტკიცების მხრით‘‘.

დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფო ომის დაწყების დროს შეიცვალა ტერიტორიალურად:

13, 153, 712 ქვად. მილს.
რუსეთი 8, 647, 657. ,,
საფრანგ. 4, 983, 068, ,,
ამერიკა შეერთ.
შტატები 3, 743, 602.
გერმ. ახალშ.
— 1, 236, 600.

ვერსალის ზავის მიხედვით ინგლისმა შეიძინა:

მესოპატიაში.	143,000	ქვად.	მილ.
პალესტინა	10,000	,,	,,
ომან.	82,000	,,	,,
ეგვიპტე	350,000	,,	,,
გერმან. აღმოსავლ. აფრიკა	384,000	,,	,,
გერმანული სამხრ. აფრიკა	322,000	,,	,,
კამერუნი	191,000	,,	,,
ტოგო	33,000	,,	,,
კაიზერ ვილჰელმ — ლანდი	10,000	,,	,,
გერმან. სამოა	1,200	,,	,,
გერმ. ზუდზეე, ინზელ	15,000	,,	,,
სულ	1,607,200	ქვ. მილ.	27,340,000 მცხოვრებით

ამგვარად დღეს დიდი ბრიტანეთის ხელშია მთელი დედამიწის ერთი მეოთხედი ნაწილი.

ინგლისის საზღვაო სამინისტროს ცნობით ინგლისის ფლოტს ამ ომში დაუკარგავს 1917 წ. აგვისტოს 8 დან 1919 წ. ნოემბრის 11-ამდის 2,479 გემი, 7, 753,090 ბრუტო-ტონით. მიუხედავად ამისა დღეს ინგლისს 5 პროც. მეტი ტირაჟი აქვს ვიდრე ომამდის ჰქონდა. უზენაესი საბჭოს დადგენილებით ინგლისმა მიიღო გერმანიის ფლოტიდან 70 პროც., საფრანგეთმა და იტალიამ 10 პრ. იაპონიამ 8 პროც. ამერიკამ 2 პროც. ეს ორი პროცენტიც ვილსონმა ისევ ინგლისს დაუბრუნა.

გარდა ამისა ბრიტანეთს საამირბაროს ზომები აქვს მიღებული, რომ ის 1,000 გემი, რომელიც გერმანელებმა ჩასძირეს ინგლისის ნაპირების ახლოს, უნდა ამოღებულ იქნას.

ინგლისის სანავოსნო ინდუსტრიამ დიდის მასშტაბით განაახლა თავისი მუშაობა. ,,ლოიდს რეჯისტერის‘‘ ცნობებით.

1919 წ. უკანასკნელ 9 თვის განმავლობაში ინგლისმა შეიძინა 870 ახალი დიდი გემი, ე. ი. 3,245,000 ტონა, ამერიკამ ამავე ხნის განმავლობაში მხოლოდ 647 გემის აშენება მოახერხა...

ეს ციფრები გვაჩვენებს, თუ ვის სასარგებლოდ უღვრიათ სისხლი 5 წლის განმავლობაში ევროპიელ სახელმწიფოებს.

მოკავშირე სახელმწიფონი ომის დასაწყისშივე უკიჟინებდნენ გერმანიის იმპერიალისტობას და ქვეყანას არწმუნებდნენ, დემოკრატიისა და კულტურისა დროშის ქვეშ ვიბრძვითო. რას ვხედავთ დღეს?

გერმანიის ხალხს არ აკმარეს ის დანაკლისი, რომელიც მას მიაყენეს ზარალის ანაზღაურების სახელით არსებითად მას შეაწერეს დიდი კონტრიბუცია; წაართვეს ტერიტორიის ნაწილი.

საფრანგეთი განაგრძობს თავის ტრადიციულ პოლიტიკას გერმანიისადმი. 6 მილიონიანი გერმანული ავსტრიის რესპუბლიკა ცდილობს თავის თანმოძმე გერმანიასთან შეერთებას, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება საფრანგეთის დიპლომატია. ავსტრიის ყოფილ იმპერატორ კარლ ჰაბსბურგელს თვალი საფრანგეთისაკენ უჭირავს. საფრანგეთის გეგმით უნდა შეაერთონ კათოლიკური ავსტრია და ბავარია ჰაბსბურგელის გვირგვინს ქვეშ.

მიუნჰხენში ამ ჟამად იმყოფებიან საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის საგანგებო ელჩები. გერმანიის პოლიტიკური დაუძლურების ჟამს, მოკავშირენი სარგებლობენ ბავარიელების პარტიკულარიზმით. ასეთსავე სეპარატისტულ მისწრაფებებს უღვიძებენ რაინის მხარის გერმანელებს; საკმაოდ მოურიდებელ პოლიტიკას აწარმოებს საფრანგეთი ზემო შლეზიის იმ ნაწილში, რომელშიაც პლებისციტი უნდა მოხდეს, ზემო შლეზიის დაკარგვით გერმანიის ინდუსტრია სავსებით განადგურდება, რადგან აქაური ნახშირი ასაზრდოებს გერმანიის მრეწველობას.

რაც დრო მიდის, მით უფრო აშკარა ხდება, რომ ვერსალის ზავი გამოიწვევს

---

*) შარშან ხალხთა ლიგის შესახებ დაბეჭდილ წერილში მე აღვნიშნე რომ თუ გერმანია ხალხთა ლიგაში არ მიიღეს იგი მკვდრად შობილი ორგანიზაცია იქნება მუდამ მეთქი. მიმდინარე წლის განმავლობაში ხალხთა ლიგამ რამოდენჯერმე სცადა ევროპიულ პოლიტიკაში გარეულიყო, მაგრამ ყოველივე მისი ცდა უნაყოფო გამოდგა. ასე რუს-პოლონელთა ომში, პოლონელთა და ჩეხო სლოვაკიას შორის ტეშენის ოლქის გამო ატეხილ დავაში.

ქ. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსვენებული ილია (დ. 1853 წ.) ოთხმოციან წლებიდან თანამშრომლობდა ადგილობრივ ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში. 1897 წ. მან დაბეჭდა ფრიად საინტერესო წიგნი ,,ბუნება და ცხოვრება''. მაგრამ მისი მწერლობა უსათუოდ ორი ხაზით უნდა აღინიშნოს: პირველი ხაზით მიდის მისი მეტად ნაყოფიერი მუშაობა ქართული და კერძო საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის შექმნისათვის. საინტერესოა აქ მისი მუშაობა, რადგან, მან შეკრიბა ძველი ქართული და ხალხური ტერმინები და სათანადო შეფარდებით ახალ ტერმინოლოგიასთან, ფაქიზად შეუნახა ახალ ქართულ მეცნიერებას.

მეორე ხაზით—ახალგაზრდობაში ის აღვიძებდა კეთილშობილ პატრიოტიზმს და სიყვარულს—მშობლიურ ბუნებისადმი.

განსვენებული მუდმივ თანამშრომლობას ეწეოდა ,,ივერია''-ში, ,,დროება''-ში, ,,ჯეჯილ''-ში, ,,განათლება''-ში, ,,საქართველო''-ში და სხვ.

ლ.

დამფუძნებელ კრებაში

სამშაბათი. იანვრის 18 სხდომა.

თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი.

კამათის გაგრძელება მთავრობის შემადგენლობის ცვლილების შესახებ

მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა

უმთავრესი საკამათო საქმე იყო მომარაგების საქმე, მაგრამ მას შემდეგ რაც თვით მომარაგების მინისტრმა გააკეთა აქ მოხსენება, გამოირკვა, რომ არარავის არავითარი აქვს სათქმელი, ამ სამინისტროს წინააღმდეგ. (დადიანი: რა იცით, ბატონო? სპ. კედია: გამოვალთ, ვილაპარაკებთ).

შემდეგ აქ ლაპარაკობდენ, რომ ჩვენ ხან ვამოკლებთ, ხან ვადიდებთ მინისტრების რიცხვს, ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არ არის პოლიტიკური საგანი, ეს არის დამოკიდებული პრაქტიკულ საჭიროებაზე. აი ინგლისში წინად იყო 20 მინისტრი, ეხლა კი არის 14. საფრანგეთში ეხლა დაუარსებიათ ახალი სამინისტრო—პენსიებისა.

ჩვენ რომ დროზე არ დაგვეარსებია მომარაგების სამინისტრო, ჩვენ არ გვეყოლებოდა ჯარი და გვარდია და საზღვრები დაუცველი გვექნებოდა. აქ შალვა ნუცუბიძემ სთქვა, რომ ჩვენში არის ოლიგარხია, არისტოკრატია, კამარილია. მე მოგახსენებთ, რომ ეს არ არის მართალი, ოლიგარხია არის იქ სადაც ხალხს არ აქვს არავითარი ხმა და დემოკრატიზმი არ არის. ჩვენში კი ბატონობს ხალხი და სრული დემოკრატიზმია. ხალხმა ნდობით აღჭურვა ჩვენი პარტია და ამ პარტიაში ბატონობს არა 2—3 კაცი, არამედ თვით ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა დადგენილებებს ემორჩილება ყველა. (შ. ნუცუბიძე: ვინ აპახრაკებს თქვენ ფრაქციაში საქმეს? ამაშია საქმე.)

ბ. რცხილაძეს ემისიის განხილვის დროს უთქვამს ის სიტყვა, რომელიც ჩემის აზრით უნდა ეთქვა ჩემს განცხადების გამო გამართულ კამათის დროს, ამიტომ მე ამ სიტყვას შევეხები. ბ. რცხილაძეს უთქვამს, დღეს რომ ეკონომიური კრიზისი არის, ამაში ბრალი მიუძღვის მთავრობასაო. ამის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ დღეს შექმნილ კრიზისში ბრალი მიუძღვის მთელ ჩვენ ხალხს და მასთან ერთად რასაკვირველია მთავრობასაც, ვინაიდან დღეს ეკონომიურ პოლიტიკაში ჩაბმულია, როგორც მთავრობა, ისე მთელი ხალხი. ბ. რცხილაძე გვისაყვედურებს, რომ ჩვენ მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია რაც საომარ მდგომარეობიდან გამოვედით და არა ჩვეულებრივი ხარჯები არ გვაქვს, მაინც დავანგრიეთ ქვეყანა. ბ. რცხილაძემ უნდა იცოდეს, რომ საქართველო დღევანდლამდე საომარ მდგომარეობიდან არ გამოსულა და რომ ჩვენ მუდამ გვაქვს აუარებელი სამხედრო გასავალი. ხოლო ჩვენ რომ გვიხდება დიდი საომარი ხარჯების გაღება, ამაში არ არის დამნაშავე მთავრობა და მისი პოლიტიკა.

ჩვენ ხშირად გვიწუნებენ პოლიტიკას, მაგრამ სამაგიეროდ კარგი პოლიტიკა არავის არ წამოუყენებია.

(შენგელაია: ბევრჯერ გვითქვამს.) ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არის აგებული ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობაზე და თუ უკანასკნელი შეიცვლება, შეიცვლება ეკონომიური პოლიტიკაც. ეკონომიური მდგომარეობა ჩვენი გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ განვიცდით საქონლის ნაკლებობას, რის გამოც გვიხდება. მისი საზღვარ გარეთიდან შემოტანა.

ვეშაპელი: შეშაც უცხოეთიდან მოგვაქვს?

ნ. ჟორდანია: თუ ბატონ ვეშაპელს ჰგონია, რომ შეშის საქმე მთავრობის საქმე არის, შემცდარი ბრძანდება.

ა. ასათიანი: ქალაქთა კავშირს შეშის დასამზადებლად რამდენი ავანსი მიეცით?

ნოე ჟორდანია: დღეს მაშასადამე არის საქონლის ნაკლებობა და კონკურენცია არის არა ვაჭართა შორის, არამედ თვით მყიდველთა შორის.

ასეთ კრიზისის დროს შესაძლებელია სამნაირი გამოსავალი, ერთია—ბოლშევიკური, მეორეა ლიბერალური მემარჯვენეთა და მესამე ჩვენი. პირველი გამოსავალი გულისხმობს ნაციონალიზაციის წარმოებას. ჩვენ ამის გადაჭრით წინააღმდეგნი ვართ, იმიტომ რომ ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ დღევანდელი კრიზისის გადატანა შეიძლება იმ შემთხვევაში თუ მთელი ხალხი, ვისაც აქვს უნარი ეკონომიურ საქმიანობისა, ჩაებმევა ამ საქმეში. ჩვენ ვიცით შედეგი ბოლშევიკური პოლიტიკისა რუსეთში, აზერბაიჯანში და სომხეთში, ის რომ იქ შიმშილით იხოცება ხალხი. ჩვენ ამისთანა პოლიტიკას ვერ მივიღებთ. ჩვენ არ ვართ მომხრე აგრეთვე ნაციონალურ და ლიბერალურ პოლიტიკისა, რადგან ეს სპეკულიატიური პოლიტიკაა. ეხლა რომ მთელი ეკონომიური საქმე ჩაიგდოს კერძო მწარმოებლებმა და კერძო ვაჭრებმა, თავისთავად ცხადია არსებული ფასები საქონელზე ათჯერ მეტად გაიზრდება.

(ცვაზავა: პირველ დღეებში).

მაშასადამე მე ვამბობ, რომ არსებულ მდგომარეობაში ჩვენ არ შეგვიძლიან ეკონომიური საქმიანობა დავანებოთ კერძო პირებს საკუთრად და მასში არ ჩავრიოთ სახელმწიფო, ერობები და ქალაქები. ეს ეკონომიური საქმიანობა მემარჯვენეების ხელში რომ ყოფილიყო, რასაკვირველია იქნებოდა აჯანყებები, როგორც ხალხისა, ისე ჯარისა და აქამდის დანგრეული ვიქნებოდით.

ა. ასათიანი ეს გულთმისნობა არის.

ნ. ჟორდანია: არა ეს გულთმისნობა არ არის. მე მოგახსენებთ ვისი პოლიტიკა სად მიდის.

შალვა ქარუმიძე: ლოგიკა არ გაქვთ პოლიტიკაში.

ნ. ჟორდანია: მე ვიცი ის, რომ თქვენი პოლიტიკა ანგრევს სახელმწიფოს, ჩვენი კი აშენებს.

შ. ქარუმიძე: თქვენ მზრუნველობის ქვეშ მყოფი კოოპერაცია რამდენს იგებს? აი სპეკულიაცია სად არის.

ნოე ჟორდანია: კოოპერაციის მდგომარეობა მე არ ვიცი, რადგან ჩვენ მასთან პირდაპირი კავშირი არ გვაქვს. მაშასადამე ჩვენთვის მიუღებელია როგორც ბოლშევიკური, ისე ლიბერალური პოლიტიკა. (ცვაზავა: მენშევიკური?) დიახ ჩვენ ვადგევართ მენშევიკურ, ანუ სოც.-დემ. პოლიტიკას.

შ. ქარუმიძე: საქართველო არც ბოლშევიკურია და არც მენშევიკური, ის არის წვრილ მესაკუთრეთა ქვეყანა, თქვენ კი ქალაქს შეაჭამეთ ყველაფერი.

ნ. ჟორდანია. არა ბატონო, პირიქით სოფელმა შეჭამა ქალაქი. მართალია წინედ იყო გიპერტროფია ქალაქების, მაგრამ ეხლა მოხდა გიპერტროფია სოფლების. ჩვენი მიზანია ამნაირი ანორმალობა არ იყოს, რომ ყველას შორის ერთნაირად იყოს განაწილებული შრომა. მაშასადამე მე ვამბობ, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით დაფუძნებულია დღევანდელ ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობაზე, რომელიც შექმნილია არა მთავრობის, არამედ ობიექტიურ პირობების მიერ. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სწორია, მასზედ არის აგებული, როგორც შინაური ისე საგარეო სიმტკიცე ჩვენი ქვეყნისა და იმედი გვაქვს, რომ დამფუძნებელი კრება ხელს კი არ შეგვიშლის ამ პოლიტიკის გატარებაში, არამედ ხელს შეგვიწყობს. (ტაში ს.-დ. სკამებზე).

სხდომა იხურება ნაშ. 4 საათზე.

კამათი გაგრძელდება მომავალ სამშაბათის სხდომაზე.

,,ჯეჯილის'' და ,,ნაკადულის'' გამომცემლობა.

საბავშო წიგნების გამომცემლობის განვითარება და კერძოთ საბავშო ჟურნალის გამოცემის საქმის ჯეროვან ნიადაგზე დაყენება უდიდეს საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის.

დღევანდელ პირობებში ჩვენი საბავშო მწერლობა და გამომცემლობა სულ მოისპობა, თუ საქმე სავსებით კერძო თაოსნობის ამარა დარჩება, ვინაიდან იგი უზომო ხარჯებს და ძლიერ ორგანიზაციას თხოულობს.

არასოდეს არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში ისეთი მკვეთრი საჭიროება მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებულ საბავშო გამომცემლობისა და ამავე დროს არასოდეს არ ყოფილა ისე ძნელი კერძო პირთათვის ამ საქმის მოწყობა და გაძღოლა.

სწორედ ასეთს დაუძლეველ სიძნელეს წარმოადგენს არსებულ საბავშო ჟურნალები ,,ჯეჯილის'' და ,,ნაკადულის'' გამოცემის განგრძობა მათ ხელმძღვანელთათვის. ამ ჟურნალების მოსპობა ან ხანგრძლივი შეჩერება კი მაჩვენებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის და საზოგადოებრივობის უძლურების. მათი დახურვა ცუდათ იმოქმედებდა ბავშვთა სულიერ განვითარებაზე და საგრძნობლათ შეაფერხებდა სასკოლო კულტურის აღორძინების საქმეს.

ამიტომ ,,ჯეჯილის'' და ,,ნაკადულის'' გამომცემელთა სურვილის თანახმად ერობათა კავშირმა მიმდინარე 1921 წლის იანვრიდან იკისრა მათი გამოცემა გაერთიანებული და გაფართოებული პროგრამით. მან გადასწყვიტა ამ დიდი საქმისათვის არ დაიშუროს არავითარი ნივთიერი და ინტელექტუალური ძალღონე. ერობათა კავშირი დარწმუნებულია, რომ თქვენი ოჯახი, სკოლა, ფართო საზოგადოება, თვითმართველობა და მთავრობა ამ საქმის გაძღოლაში არ მოაკლებს მას მუდმივ თანაგრძნობას და დახმარებას.

ორი საბავშო ჟურნალი ,,ჯეჯილი'' და ,,ნაკადული'' გაერთიანებულია და გამოვა ერთი რედაქციის ხელმძღვანელობით, ორ გამოცემათ.

მოზრდილთათვის გამოვა ,,ჯეჯილი'' თვეში ერთხელ, თვითეულ №-ში დაახლოებით 64 გვერდი, თვიური ფასი 120 მანეთი.

მცირე წლოვანთათვის გამოვა ,,ნაკადული'' თვეში ორჯერ, თვითეულ № ში 32 გვერდი, თვიური ფასი ორივე ნომრის 120 მან.

ჟურნალს უძღვება სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შედიან ქ-ნნი ან. წერეთლისა, ნ. ნაკაშიძე და ერობათა კავშირის კომიტეტის წევრი ვ. საყვარელიძე.

გარდა სარედაქციო კოლეგიისა, ჟურნალთან არსებობს მუდმივ თანამშრომელთა დამხმარე წრე, ექვსი კაცისაგან შემდგარი, რომელიც კვირაში ერთხელ იკრიბება მასალის და ჟურნალის ავკარგიანობის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

წერილი რედ. მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით, თელავის ვაჟთა გიმნაზიის მშობელთა წრის და პირადად ჩემის მრივ, ულრმესი მადლობა გამოვუცხადო მოქალაქე ივანე ლომინაძეს (ფშავლის ერობის აფთიაქის პროვიზორს) რომელმაც გადმომცა მე ოცდა ათი ათასი მანეთი (30000 მან.) გიმნაზიის ულარიბეს მოწაფეთა დასახმარებლად.

თელავის ვაჟთა პირველ გიმნაზიის და ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიის მშობელთა წრეთა თავმჯდომარე

ლ. ი. გოგნიაშვილი.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

ევროპაში ხალხების ახალ დაჯგუფებას, ძალების ახალ კონსოლიდაციას. 60 მილიონიანი გერმანია ცხადია გულ-ხელ დაკრეფილად ვერ უყურებს თავის პოლიტიკურ განიავებას. ვერსალის ზავის შემდეგ უკმაყოფილი იტალია ნელნელა შორდება საფრანგეთს და ინგლისს უახლოვდება, ამასთანავე ძლიერდება ინგლისის გავლენა საფრანგეთზე.

ვერსალის ზავის პირობების გავლენის წყალობით რადიკალური ელემენტები საგრძნობლად დამარცხდნენ რაიხსტაგის უკანასკნელ არჩევნებში, ვერსალის ზავის აუტანელი პირობების წყალობით გერმანიის დემოკრატიული წრეები მარჯვნით გადაჯგუფდნენ. თვით შეიდემან-ებერტის მთავრობაც ვერ ულალატებდა იმ გზას, რომელიც დღევანდელ გერმანიის მთავრობას აღებული აქვს. ჩვენ საფრანგეთის რევოლიუციის მაგალითიდან ვიცით, რომ პოლიტიკური რევოლიუცია ერის საგარეო პოლიტიკას რადიკალურად ვერ შეცვლის. საფრანგეთის რევოლიუციამ ვერ დაავიწყა საფრანგეთს ანტი-ბრიტანული პოლიტიკა. რევოლიუციონური საფრანგეთი ისევე თავგამოდებით ებრძოდა ინგლისს მალტისა და ხმელთა შუაზღვის ჩამოსართმევად, როგორც ლუდოვიკოს მთავრობა. რევოლიუციონური საფრანგეთი გზავნის გენ. ბონაპარტეს იტალიის და ეგვიპტის დასაპყრობად. რაც უნდა რადიკალური მთავრობა მოექცეს გერმანიას სათავეში, იგი იძულებული იქნება გერმანიის რეალური პოლიტიკის მიზნებს ანგარიში გაუწიოს, გერმანიამ ძალით ან ნებით უნდა მიაღწიოს ვერსალის ზავის რევიზიას, პროვინციების და ახალშენების დაბრუნებას. უახალშენებოდ გერმანია ვერ მიიღებს ნედლ მასალას. ხოლო ვიდრე ეს არ მოხდება ევროპა სიძვირეს და სიღატაკეს თავს ვერ დააღწევს..

ახლა მოკლედ შევეხები გერმანიის შინაგან პოლიტიკას. გერმანიის ერის საბედნიეროდ გერმანიის რევოლიუციას ისეთ უკიდურესობის საზღვრამდის არ მიუღწევია, როგორც ეს საფრანგეთში და შემდეგ რუსეთში მოხდა. (პირველმა რევოლიუციონურმა მთავრობამ ხელში ჩაიგდო მზამზარეული აპარატი ფრიდრიხის და ბისმარკის სახელმწიფოსი, მაშინ როცა რუსეთის რევოლიუციამ სავსებით გაანადგურა მეფის რუსეთის სახელმწიფოს საძირკველი).

ამ საკითხის შესასწავლად საგულისხმოა გუსტავ ნოსკეს ახალი წიგნი ,,კილიდან კაპამდის.'' იგულისხმება სპარტაკისტების გამოსვლა კილში შემდეგ კაპის კონტრრევოლიუცია. გერმანიის რევოლიუციამ ჩემს თვალს წინ გაიარა თავისი განვითარების მთავარი ეტაპებით. იგი სრულიად არა ჰგავდა არც საფრანგეთისა და არც რუსეთის რევოლიუციას. ბებელის სოციალიზმი ისეთივე წყობილი და დისციპლინიანი აღმოჩნდა, როგორც ბისმარკისეული პოლიციური სახელმწიფო. მასში არ ერია არც ფრანგული რევოლიუციის ბესტიანური სისხლ მოწყურებულება, არც ბოლშევიკური კაცთ—მძულვარება.

გერმანიის რევოლიუციის ფონზე გამოჩენილ პიროვნებათა შორის ყველაზე ძლიერ და გონიერ პიროვნებად გუსტავ ნოსკე უნდა ჩაითვალოს. იგი კონტრასტია ფრანგულ მანერზე აღტყინებულ ლიბკნეხტის, დინჯი სერიოზული, თავმდაბალი და მკლავ მაგარი. იგი ნაპოლეონივით რევოლიუციის სტიქიონმა წამოისროლა, რომ რევოლიუციის მსვლელობისათვის ეჩვენებია კანონიერი კალაპოტი და ზომიერი ტემპი. მან ნაპოლეონისტურის სიძლიერით ჩააქრო სპარტაკელების ხელით ანთებული კოცონი, რომელსაც უნდა გაენადგურებია გერმანიის დიდი კულტურა და ცივილიზაცია, მაგრამ ნაპოლეონისტური შორს მჭვრეტელობა და მკლავის სიმაგრე მან ვერ გამოიჩინა, როცა მის წინააღმდეგ გამოჩნდა გენ. ლუდენდორფის დემონიური პიროვნებაა. კაპის გადატრიალების დროს დაამტკიცა ლუდენდორფმა, რომ ის იმდენად სუსტი პოლიტიკოსია, რამდენადაც დიდი სტრატეგი. კაპის ,,კუდე'ტამ როგორც ვიცით ჰოჰენცოლერების რესტავრაცია ვერ მოაწყო, სამაგიეროდ დაასუსტა ებერტ— შეიდემანის მთავრობა და მეუმრავლესე სოციალისტების გავლენა. კაპისტების მთავარი პაროლი, იყო-ადგილი მიეცით სამინისტროებში სპეციალისტ გერმანელებს, ,,გერმანია გერმანელებს''-ეწერა იმ დროშებზე, რომელიც დობერიცის ჯარებმა შემოიტანეს ბერლინში.

რაკი მეუმრავლესე სოციალისტები ვახსენე, ვერ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მათ საერთოდ ჩინებულად აუღეს ალლო რევოლიუციას. მათ დროზე შეიგნეს, რომ რევოლიუცია პერმანენტული სოციალური მოვლენა როდი უნდა იყოს, არამედ დროული და გარდამავალი. მათ შეიგნეს, რომ რევოლიუციონურ ნგრევას იქ უნდა დაედვას საზღვარი, სადაც ამას სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა მოითხოვს.

რაც შეეხება სპარტაკისტულ-ბოლშევიკურ მოძრაობას გერმანიაში, ამ მოძრაობას აჩაღებდნენ უმეტესად ლენინის აგენტები და რუსეთიდან გადმოხიზნული რუსოფილური ელემენტები.

ერთი ცნობილი მოკავშირეთა დიპლომატი აცხადებდა გასულ წელს, თითქოს ბოლშევიზმის ბაცილა მხოლოდ და მარცხებულ ერების ხვედრიაო, ამ პრინციპის განზოგადება არ შეიძლება, ჩვენ ვიცით ისტორიიდან არა ერთი და ორი მაგალითი, როცა დამარცხებული ერი ხშირად გაცილებით მეტ მორალურ ძალას იჩენდა თავის ეროვნულ ვინაობის შესანარჩუნებლად, ვიდრე გამარჯვებული. ბოლშევიზმი სოციალური ფენომენი არაა, იგი ახალი ფორმაა პანსლავიზმისა, ბოლშევიზმი რუსული სოციალური ავადმყოფობაა, პოლიტიკურად იგი ისე შორს იყურება, როგორც ბობრინსკისა და სტოლიპინის პანსლავიზმი. ყოფილ რუსეთის მცირე ერების მაგალითებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ ბოლშევიკური ბაცილა ისეთი ერებისათვისაა საშიში, რომელნიც კულტურულად ან უფრო დაბლა დგანან, ვიდრე თვით რუსები. ბოლშევიზმი იდეურად ვერ დაამარცხებს პოლონეთს ფინლანდიას და საქართველოს.

ამ ომის პირველ ეტაპში გერმანიის ზოგიერთ წრეებში სერიოზულად ფიქრობდნენ ბოლშევიკურ საფრთხეზე, ლუდენდორფმა ერთ ამერიკულ ჟურნალისტს განუცხადა, რომ თუ ბოლშევიკები პოლონეთს გადალახავდნენ, იგი მზად იყო დასავლეთის ცივილიზაცია დაეცვა ბოლშევიზმის ტერორისაგან.

ბოლშევიზმი, როგორც იდეური შინაარსი, გერმანელებისათვის სრულიად უცხოა მოძღვრებაა, ისე როგორც რუსობისათვის დასავლეთის დემოკრატიული იდეები, იდეები ინგლისის კონსტიტუციისა, საფრანგეთის პარლამენტარიზმისა და გერმანთა და გერმანელთა ხალხოსნურ რაიხსტაგებისა.

რუსული ცარიზმიც ხომ ერთნაირი სინტეტიური ფორმა იყო აღმოსავლეთური ტირანიისა და ბოლშევიკური ძალმომრეობის.

1848 წ. ბაკუნინმა ურჩია გერმანელ რევოლიუციონერებს დაეწვათ ქალაქი დრეზდენი, მაგრამ როცა მათ ყური არ ათხოვეს რუსის ანარქისტულ რჩევას, ,,გერმანელები სულელებია, მათ რევოლიუციის არაფერი ესმით'', სთქვა ბაკუნინმა და თავის გზას გაუდგა.

,,გერმანელები სულელებია''! ამ სიტყვებში ბაკუნინი გულისხმობდა ,,კანონის მოყვარულებს''. მართლაც ამ პუნქტში რუსობა და გერმანელობა ვერასოდეს გაუგებენ ერთი მეორეს. აქ იფარება გერმანელობისა და რუსობის მუდმივი გაუგებრობის მიზეზი. გერმანული პედანტიური კანონის მოყვარეობა აძლევდა მუდამ მასალას გერმანოფობებს რუსეთში.

ბაკუნინი და ლენინი ვერასოდეს გაუგებენ კანტსა და მარქსს.

პირველნი უარყოფენ კანონზე დამყარებულ სახელმწიფოებრიობას კანტისა და მარქსისათვის, ადამიანური საზოგადოებაც, როგორც ზეცის მექანიკა განსაზღვრულ გონების მიერ წინასწარ დათქმულ კანონიერებას ემორჩილება. ეს ფილოსოფია რუსობისათვის მუდამ გაუგებარი იყო.

ვერც თანამედროვე გერმანული სოციალიზმი ულალატებს იმ გზას, რომელიც 50 წლის წინად უჩვენა მას ფერდინანდ ლასსალმა. ლასსალი გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის მოწაფე იყო, მისი სახელმწიფო სოციალიზმი არსებითად იგივეა, რაც ფიხტეს სახელმწიფოს თეორია. ფრანგულ კლასობრივ ეგოიზმზე დამყარებული კომუნისტური თეორია, რომელზედაც შემდეგ ბოლშევიზმის იდეოლოგია დაემყარა, ანადგურებს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს დასაწყისებს, ეს თანამედროვე სენი განადგურებით ემუქრება მთელი ადამიანობის მიღწევის კულტურას.

ფიხტესებურ იდეალურ სახელმწიფოში ორი უმთავრესი ბუნებრივი უფლებაა: უფლება მუშაობისა და უფლება არსებობისა, რომელიც ყოველ საზოგადოების წევრს უნდა ექნეს. იმ სახელმწიფოებრივ სოციალიზმსაც, რომელსაც დღეს ომი აქვს გერ-ში რუსეთიდან მიბერილ კომუნისტურ იდეოლოგიასთან, მუშაობის და არსებობის უფლება აქვს საფუძვლად, მხოლოდ აქ იგულისხმება მუშაობა არა ეგოისტურ მისწრაფებისათვის, არამედ მუშაობა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

ვერსალის ზავის პირობების სიმძიმე დიდ გავლენას ახდენს გერმანიის შინაგან ვითარებაზე. ყველასთვის ცხადია, რომ რევანშისტები დღეს შესაფერ ნიადაგს პოულობენ, და საზოგადოების ყველა წრეებში, მეორდება თითქმის იგივე რაც პარიზის ნაციონალისტურ წრეებში 80 წლებში. თუ ვერსალის ზავის პირობების რევიზია არ მოხდა, ცხადია გერმანიაში რეაქცია გაძლიერდება. ალბად ეს ესმით ინგლისის ასქვის—ლიბერალებს და იტალიის პოლიტიკოსებს, რომელნიც ამ ბოლო ხანებში ვერსალის რევიზიის მომხრე არიან. ევროპის ინტელექტუალურ მუშაკთა სოლიდარობისკენ პირველი ნაბიჯი ინგლისელმა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა გადადგეს, ნოემბრის პირველ რიცხვებში მათ მოწოდებით მიმართეს გერმანიის მეცნიერებს, დავივიწყოთ ძველი შური და მტრობა და ხელი გაუწოდოთ ერთი მეორეს მთელი ადამიანობის საკეთილდღეოდ სამუშაოდო, სწერდნენ ოქსფორდელები. ამას მოყვა ბერლინელ და ლაიპციგელ პროფესორების საპასუხო მოწოდება.

უნდა აღინიშნოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის რადიკალურად შეცვლა გერმანიის მიმართ. ვულსონის პარიზიდან წასვლის შემდეგ ამერიკა პასიურად შეჰსცქერის ევროპის საქმეებს. ვულსონიზმი დამარცხდა ამერიკაში. ამერიკა დახმარებას უწევს ავსტრიას და გერმანიას ეკონომიურად. ჰოლანდიაში, დანიასა და შვეციაშიაც იღვიძებს თანაგრძნობა გერმანიისადმი. ჩემი საერთო შთაბეჭდილება ესაა, რომ გერმანიის ხალხს მხოლოდ თავის მუშაობის უნარის იმედი აქვს. მუშაობა სამშობლოს აღსადგენად, ესაა მათი სადღეისო ლოზუნგი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გოეთეს და კანტის დიდი ხალხი ახალ ძალებს მოიკრებს თავის განუზომელი ტანჯვის წიაღიდან.

საერთოდ, როგორც ევროპის მომავალზე დადებითად რაიმეს თქმა ფრიად საძნელოა, ევროპა 30 წლის ომების შემდეგაც არა მდგარა ისეთ პოლიტიკურ სოციალურ და მორალურ კრიზისში, როგორც დღეს. ერთი რამ ცხადია, თუ პოლიტიკურმა პირობებმა ხელი არ შეუშალეს; მხოლოდ გერმანიას შეუძლია ევროპა ეკონომიურ კრიზისისაგან იხსნას. გერმანული გენიალური ორგანიზაცია, გერმანული შრომის უნარი და სპარტანული შრომის ამტანობა თუ შესძლებს ეკონომიურად გაღატაკებულ ევროპის ხსნას. დღესაც, როგორც არა ერთხელ, გერმანიის დიდმა ერმა უნდა გადაარჩინოს ევროპა ვაველურებისაგან.

კ. გამსახურდია.

(დასასრული იქნება).

შეცდომების გასწორება.

გუშინდელ ნომერში ბ. კ. გამსახურდიას ფელეტონში სხვათა შორის შემდეგი შეცდომები გაპარულა: 1) მეშვიდე სვეტში სწერია: 1920 წელს ბურებთან ზავის და სხვა. უნდა იყოს 1902 წ. 2) იქვე: ,,ქე დორსათზე'' უნდა იყოს: ქე დორსაიზე. 3) იქვე ,,ბროკდთრიკ რანტაუ'' უნდა იყოს: ბროკდორფ რანცაუ.

სახლები
მამული, აგარაკები
ყიდვა გაყიდვა
დავითის ქუჩა № 3 ბ-ნა 2.
შოთარუსთაველის პრ-სპ. მახლობლად.
1—3395—1.

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოშვილი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5-7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა
№ 3208.

ექიმი
ე. ი. პალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დილის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეზხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

თვალების ავადმყოფების
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეზხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3

ექიმი
ა. ე. ლევენშტეინი.
იღებს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჭრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12-46.
მიღება 11-12 და 4-7 საათამდე.

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ.
ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასია ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12=1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეზხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემმელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის,
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტროწამლობის კაბინეთში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპერაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 3314

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეზხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის'' მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტეხნიაზე'' (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2